# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 ივნისი 2007 №136 (3059) ფასი 50 თეთრი

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვერსია: ტოპმიოლერის წლიური ხელფასია

# 1 000 000 ევრო!



მსოფლიოში ბევრი ნაკრების მწვრთნელს ვერ ნახავთ, ვისაც წლიური ხელფასი მილიონი ევრო ან მეტი აქვს. ერთ-ერთი მილიონერი კი ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი კლაუს ტოპმიოლერია — იმსახურებს თუ არა ჰერ კლაუსი ამხელა ანაზღაურებას შედეგებიდან გამომდინარე, ეს სხვა საკითხია: ზოგი როგორ ფიქრობს და ზოგიც როგორ...

ჩვენ ერთხელაც დავინტერესდით ტოპმიოლერის ზუსტი ხელფასით (მით უმეტეს, ბოლო ხანს რამდენიმე დაუზუსტებელი ვერსია და თანხა დასახელდა) და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამაც სიტყვა-სიტყვით ეს გვითხრა: „ტოპმიოლერი წელიწადში ხელზე იღებს მილიონ ევროს."

ამგვარად, ფედერაციამ ჰერ კლაუსის ოფიციალური ანაზღაურება გუშინ პირველად გაახმაურა.



### რაღა საჭიროა არჩევნები? რამიშვილი უალტერნატივოა

2



### წასვლა და თამაში ერთი უნდა იყოს

ინტერვიუ გიორგი ლომაიასთან

3



### ანრის ბრუტო და ნ–ეტოო

ვენგერი ტიერის მაინც ყიდის?

4



### წმინდა ანტონიო მეოთხე ცაზე

13

# რაღა საჭიროა არჩევნები? რამიშვილი უალტერნატივოა!




გაფრიელ კოთილაძის ფოტო

**23 ივნისს** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის კონფერენცია ტარდება და, რაც მთავარია, ამ დღეს პროფლიგის პრეზიდენტის არჩევნებია.

პროფლიგის წესდების შესაბამისად, კონფერენციას 36 დელეგატი ეყოლება — სამ-სამი დელეგატი ორგანიზაციის წევრი თორმეტი კლუბიდან (ყოველ კლუბს პრეზიდენტის არჩევისას თითო ხმა აქვს).

კლუბებიც ჩამოვთვალოთ: „ლოკომოტივი“, „ბათუმი“, „სიონი“, „ტორპედო“, „დილა“, „ვიტ ჯორჯია“, „ოლიმპი“, „კახეთი“, „დინამო“, „ზესტაფონი“, „ბორჯომი“ და „ამერი“.

იმავ დებულების თანახმად, კლუბებს 15 ივნისამდე, ანუ გუშინ საღამომდე შეეძლოთ პროფლიგის პრეზიდენტის პოსტზე თავიანთი კანდიდატურების წარდგენა.

და ამ დროისთვის მთავარიც: დათქმულ დროში არც ერთ კლუბს თავისი კანდიდატურა არ წარუდგენია და არჩევნებისას ერთადერთ კანდიდატად ორგანიზაციის მოქმედი პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი რჩება.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ პროფლიგის წევრთა ამგვარი გადაწყვეტილება — დიმიტრი რამიშვილს სხვა კანდიდატი რომ არ დაუპირისპირეს — ერთ რამეს უნდა ნიშნავდეს: რამიშვილისა და პროფლიგის მუშაობით კლუბები კმაყოფილები არიან.

ლოგიკა ასეთია, მაგრამ იმ არგუმენტების ჩამოთვლაც საჭირო უნდა იყოს, კლუბებს არჩევანი პროფესიული ლიგის დღევანდელი მმართველობის სასარგებლოდ რომ გააჩნიათ.

არგუმენტების ჩამოსათვლელად კი იმის გახსენებაა საჭირო, რა გააკეთა პროფლიგამ ბოლო წლებში.

ექვსწლიანი უქმობის მერე, 2005-ში აღდგა საქართველოს სუპერთასის გათამაშება, ხოლო შარშან სუპერთასს სპონსორი გამოუჩნდა „ფოლკსვაგენის“ სახით და საპრიზო ფონდიც დაწესდა.

საპრიზო ფონდი შეიქმნა საქართველოს თასის გათამაშებაშიც, რომელსაც ოთხი საუკეთესო სათასო გუნდი ინაწილებს.

თასის წლევანდელ ფინალს აქამდე არნახული სარეკლამო კამპანია გაუკეთდა და, საერთოდაც, აშკარაა, რომ ბოლო წლებში თასის ფინალები ორგანიზაციისა თუ შოუს ელემენტების შემოტანის თვალსაზრისით, სულ უფრო და უფრო საინტერესო და მიმზიდველი ხდება.

ლატარია, რომელიც გულშემატკივართა მისაზიდად დაარსდა. ჩვენ ახლა არ გვაქვს სტატისტიკური მონაცემები, რამდენად მოხერხდა ამ რამდენიმე თვეში დასწრების გაზრდა, ის კი ზუსტად ვიცით, რომ რამდენიმე გულშემატკივარმა ამ ლატარიით გვარიანი თანხა მოიგო.

ერთი სიტყვით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტი ქართული საკლუბო ტურნირების კომერციალიზაციისკენ გადაგმული პირველი ნაბიჯებია, რაც პროფლიგელებს უდავოდ სწორ მუშაობად უნდა ჩავუთვალოთ.

სხვათა შორის, ეს ყველაფერი პროფლიგამ ახლახან დასრულებულ სეზონში გააკეთა და თუ ამ სეზონის წინა სეზონებთან განსხვავებაზე ვილაპარაკებთ, მთავარი განსხვავება ალბათ სწორედ ეს — კომერციალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯებია.

ხოლო შედარებით ძველ საქმეებზე თუ ვიტყვით, პირველ რიგში, „დია“ უნდა გავიხსენოთ — სეზონის შემაჯამებელი გალა-დაჯილდოვება.

რა თქმა უნდა, ყოველთვის შეიძლება თქმა, რომ რაღაც ისე კარგად ვერ კეთდება, როგორც ჩაფიქრებული იყო, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრია და ასე შემდეგ. მაგრამ გაკეთებულის დაუნახაობაც ხომ დიდი უმადურობა იქნება?!

მოკლედ, რომ ვთქვათ, გასაკვირია, კლუბებმა პროფლიგის პრეზიდენტის პოსტზე დიმიტრი რამიშვილს ალტერნატივა რომ არ დაუპირისპირესო, სწორი არ იქნება...

**ქოტე ქექელია**



როგორც ყოველთვის, „ბორჯომის“ მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს ახალი სეზონისთვის ახალი გუნდის შექმნა მოუწევს, თუმც ასე იქნება თუ არა, ჯერაც საკითხავია, რადგან კლუბის ფინანსური მდგომარეობა ისევ გაურკვეველია. თავად ხაჩიძე, როგორც ყოველთვის, იმედს მაინც არ კარგავს და ფიქრობს, რომ „ბორჯომი“ ახალ სეზონს უმაღლეს ლიგაში დაიწყებს...

# ბორჯომში მოიღრუბლა: ამინდის შემქმნელებმა კურორტი დატოვეს

— ჯერჯერობით გუნდი შვებულებაშია, სავარაუდოდ, 22 ივნისს შევიკრიბებით და მოსამზადებელ ეტაპს ბაკურიანში გავივლით. თითქმის ყოველ სეზონში ახალი გუნდის გაკეთება სამჯერ გვიხდებოდა, ალბათ, ასე იქნება ამ სეზონის დაწყების წინაც.

— გუნდი ბევრმა ფეხბურთელმა დატოვა?

— ვინც ჩამოსული იყო, ყველამ. შოთა ჯიქია, ალექსანდრე კოშკაძე, გიორგი მემარნიშვილი, ალექსანდრე კაიდარაშვილი, შოთა გრიგალაშვილი გუნდიდან წავიდნენ. სწორედ ეს ფეხბურთელები ქმნიდნენ ამინდს „ბორჯომში“ და ახლა მათი შემცვლელების პოვნა ძალიან გაგვიჭირდება.

— ფინანსურად გუნდი ყოველთვის ბოლოსლა გამოდიოდა მდგომარეობიდან. ახლა როგორი ვითარებაა?

— იგივე. ჯერჯერობით ისევ გაურკვეველია, როგორი დაფინანსება გვექნება. ყველაფერი ამ ერთ კვირაში გვეცოდინება, ალბათ 22 ივნისის შემდეგ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა და ფეხბურთის ფედერაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში, მართავს საფეხბურთო გალა-დაჯილდოების ცერემონიალს. ლაურეატები გამოვლინდებიან 11 ნომინაციაში.
2 მთავარი ნომინაციის მიხედვით დასახელდებიან საუკეთესო ლეგიონერი და საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მიღება გაიმართება 2007 წლის 19 ივნისს 19:30 წუთზე
ბილეთის ფასი: პარტერი-10 ლარი, ბალკონი-5 ლარი.
საკონტაქტო ნომრები: საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა.
ტელ.: +995-32-912671; +995-32-917126.
პფლ-ს პრესსამსახური


# ყველა დარბის, სიონი დგას ბოლნისიდან მიდიან და მიდიან

**საქართველოს** ჩემპიონატის რამდენიმე უმაღლესლიგელმა სამომავლო სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო, ზოგიც ამ დღეებში დაიწყებს. აი, ბოლნისის „სიონი“ კი როდის რას დაიწყებს, ჯერ არავინ იცის — კლუბში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, ფეხბურთელები ერთმანეთს მიყოლებით იღებენ გათავისუფლების ფურცლებს და „სიონიდან“ მიდიან. არავითარი ვარჯიში, არავითარი მწვრთნელი.

როგორც იცით, ბოლნისის რაიონს გამგებელი შეეცვალა — გია არევაძის ნაცვლად გია დაუშვილი დაინიშნა. აქამდე „სიონს“ გამგეობა და „მადნეული“ პატრონობდნენ, ახლა კი გამგეობა კლუბის საკეთილდღეოდ ვერაფერს აკეთებს, ამისთვის სახელმწიფოსგან ნებართვაა საჭიროო.

ისიც გავიგეთ, „სიონის“ დაპატრონება მთლიანად „მადნეულს“ სდომებია, თუმც იმხელა საიჯარო გადასახადები მოსთხოვეს, ვერ წვდებაო. მოკლედ, საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი მძიმე დღეშია და ამბების გასაგებად — ქვემო ქართლის გუბერნატორ ზურაბ მელიქიშვილს დავუკავშირდით: „რაღაც საკითხები გასარკვევია და ერთი კვირა უნდა მოვიცადოთ. „სიონი“ ჩვეულებრივ ფინანსდება, ასე რომ, კლუბის დაშლაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბრეგვაძეს მაღაროელმა დაუძახა

**ჭიათურის** „მაღაროელს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — ბადრი ბრეგვაძე. საჩხერის „ჩიხურა“ შარშან უმაღლესში სწორედ ბრეგვაძის თავკაცობისას გადავიდა. შემდეგ მან მწვრთნელობა ხვიჩა ქასრაშვილს დაუთმო, თავად კი გუნდის უფროსი გახდა.

პირველლიგელ „მაღაროელს“ გასულ სეზონში ცოტა დააკლდა საპლეიოფო მესამე ადგილამდე — „აგრამ“ აჯობა.

როგორც ჩანს, ჭიათურელები სერიოზულად დააფიქრა წლევანდელმა წარუმატებლობამ და უმაღლეს ლიგაში ალზევებაზე აქედანვე ფიქრობენ — ბრეგვაძის მიყვანაც ამას მოწმობს.

ცნობისთვის: ჭიათურის „მაღაროელს“ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ორჯერ, თითო-თითო სეზონი უთამაშია.

**ნუკრი ლოლაძე**

**იტალია**

სერია B. პლეი აუტი
პირველი მატჩი
სპეცია 2:1 ვერონა

**ისლანდია**

პრემიერდივიზიონი
VI ტური
რეიკიავიკი 0:2 ჰაფნარფიორდური

**ბრაზილია**

სერია A. VI ტური
ბოტაფოგო 4:0 ვასკუ და გამა

**აშშ**

MLS. XI ტური
სოლტ ლეიკი 0:1 დალასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიორგი ლომაია: წასვლა და თამაში ერთი უნდა იყოს



**საქართველოს ნაკრებმა ლიტვა-საფრანგეთში ერთნაირი ანგარიშით, 0:1 წააგო და ერთნაირი მდარე ხარისხის ფეხბურთი აჩვენა, თუმც კონკრეტულად გიორგი ლომაიას ეს ნაკლებად ეხება — ნაკრების მეკარეს ამ ორ მატჩში გაშვებულ გოლებს ვერ დავაბრალებთ, ის კი არა, ლიტველებთანაც და ფრანგებთანაც რამდენიმე რთული ბურთი აიღო. ლომაიას იენის „კარლ ცაისთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, ამჟამად თბილისშია და ჩვენც მისი სამომავლო საკლუბო გეგმებით დავიწყეთ...**

— უგუნდოდ ვარ და ვისვენებ. ახალ კონტრაქტზე ვერ შევთანხმდით და ამიტომაც წამოვედი. „კარლ ცაისმა“ არ შემომთავაზა ნორმალური პირობები.

— შენ და მიხეილ აშვეთია კარგად შეეწყვეთ „კარლ ცაისს“, რამდენიმე კარგი მატჩიც ჩაატარეთ. რატომ არ მოინდომა გუნდმა თქვენი დატოვება?

— ისევ და ისევ ცუდმა პირობებმა შემაფერხა, თორემ ჩემი და აშვეთიას თამაშით კმაყოფილები იყვნენ. ბოლოს და ბოლოს, „კარლ ცაისი“ მეორე ბუნდესლიგიდან გავარდნას გადაურჩა, არადა, ჩვენ მისვლამდე ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე. მწვრთნელის შეცვლამაც იქონია გავლენა: ფრანკ ნოიბართის ხელში ბოლო ექვსი ტური წაუგებლად ვითამაშეთ.

— რაც „კარლ ცაისში“ გადახვედი, სანაკრებო თამაშებშიც დაგეტყო უკეთესობა...

— სათამაშო პრაქტიკა ბევრს ნიშნავს. „კარლ ცაისში“ სტაბილურად ძირითადში ვიყავი. მარტო გამოცდილებით მეკარეს გაუჭირდება — თამაშია საჭირო. „კარლ ცაისში“ გატარებული თვეები ჩემთვის ძალიან ნაყოფიერი იყო.

— აშვეთია სად აპირებს წასვლას?

— როგორც ვიცი, მახაჩყალის „ანჟიში“, თუმც ეს გადაწყვეტილი არ არის.

— გერმანულ პრესაში დაიწერა, იენის „კარლ ცაისს“ მავანი ქართველი ბიზნესმენი დაეპატრონებაო. ამაზე ახალს რას გვეტყვი?

— რუს ბიზნესმენებზე გავიგე, ქართველზე კი არაფერი გამიგია.

— ლიტვასთან და საფრანგეთთან მატჩებზეც ვთქვათ...

— ლიტველებთან არ უნდა წაგვეგო. მგონი, ყველამ ნახა, რომ საკმაო უპირატესობა გვქონდა, მაგრამ, ალბათ, იღბლის ამბავიცაა — ამ ციკლში უკვე მერამდენეჯერ არ გაგვიმართლა... საფრანგეთთან კი კატასტროფული არაფერი მომხდარა, იქ იტალიამ და უკრაინამ ორ-ორი ბურთით წააგეს. აი, თამაშის ხარისხი კი დაბალი იყო, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა მეტოქის ნახევარზეც კი იშვიათად გადავდიოდით.

— კლაუს ტოპმიოლერმა რა გითხრათ საფრანგეთთან თამაშის შემდეგ?

— აშკარად უკმაყოფილო იყო. ზოგადად თქვა სათქმელი, ისე კი, თამაშის შესაფასებლად დრო არც ყოფილა.

— ფრანგებისგან შენზე დიდი ზეწოლა მოდიოდა. ასეთი რთული მატჩი ბევრი გქონია?

— ასეთ ძლიერ ნაკრებთან, მგონი, არასოდეს მითამაშია. სირთულისა კი რა გითხრათ, ბევრი დატვირთული თამაში მქონია, თუნდაც, წლეულს „კარლ ცაისში“...

— და ერთიც: რა აპირებ ახლა?

— ჯერ არანაირი წინადადება არ მიმიღია, მაგრამ, სადაც წავალ, თამაშის საშუალება უნდა მქონდეს — სხვანაირად არ გამოვა. რა თქმა უნდა, მუდმივად ძირითადის გარანტიას ვერავინ მოგცემს, თუმც ის მაინც უნდა ვიგრძნო, რომ გუნდს მინდორზე ვჭირდები და არა სათადარიგოთა სკამზე. მეკარისთვის დიდი ხნის უთამაშებლობა ორმაგად ცუდია.

**ილია ნანობაშვილი**



# გელაშვილი ბელგიაშია

**ბელგიური** ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერი „ბრიუგე“ ახალი სეზონისთვის მზადებას დღეს დაიწყებს და, როგორც შევიტყვეთ, ქართველ ფორვარდ ნიკა გელაშვილთან ერთად.

როგორც „ვიტ ჯორჯიადან“ გვაცნობეს, გელაშვილი სამი დღეა, ბელგიაშია და „ბრიუგესთან“ ერთად 25 ივნისამდე მოემზადება. ამის შემდეგ ბენილუქსური კლუბი მეორე მოსამზადებელ ეტაპს დაიწყებს და სამი კვირის განმავლობაში შვიდ ამხანაგურ მატჩსაც გეგმავს. სწორედ ამ თამაშების დროს გადაწყდება ქართველი ფეხბურთელის „ბრიუგეში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ყენია კონსულმა შეაფერხა
## შალკემ კონტრაქტი უკვე გაამზადა

**ლევან ყენიას** გერმანიაში ჩასვლა და „შალკესთან“ კონტრაქტის გაფორმება ფერხდება. როგორც შევიტყვეთ, ყენიას გერმანიაში გამგზავრება ამ ქვეყნის კონსულის შეცვლის გამო გადაიდო. ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა გვითხრა...

— გერმანიის კონსული შეიცვალა და ამის გამო ვიზის აღება შეფერხდა. გერმანიაში, ალბათ ხუთ დღეში წავალ. მიწვევა მივიღე და გელზერკირხენშიც უკვე მელიან. დავურეკეთ და დაგვიანების მიზეზი ავუხსენით...

–გერმანიაში გიორგი კიკნაძესთან ერთად ჩავალ. კონტრაქტი გამზადებულია. იქვე ერთხელაც დავილაპარაკებთ პირობებზე და ხანგრძლივობაზე“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# დემეტრაძეს მხარდამჭერები გამოუჩნდნენ

**ორიოდ** დღის წინ გამცნეთ, უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ლეგიონერებზე ლიმიტი დააწესაო — გუნდს ერთდროულად მოედანზე არაუმეტეს შვიდი უცხოელის გაყვანის უფლება ექნება.

ალბათ გახსოვთ, სანამ უკრაინული ფეხბურთის მამები ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, დონეცკის „მეტალურგის“ ქართველმა შემტევმა გიორგი დემეტრაძემ ლიმიტის დაწესებაზე სარჩელი შეიტანა და წააგო...

ახლა კი, როგორც ჩანს, დემეტრაძეს მხარდამჭერები გამოუჩნდნენ. უკრაინის ჩემპიონატში მონაწილე თექვსმეტი გუნდიდან თორმეტი ლიმიტის დაწესებას ეწინააღმდეგება. ფედერაციის გადაწყვეტილებას მხოლოდ „ილიჩევეცი“, „ტავრია“, „კარპატი“ და ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ არ აპროტესტებენ. აქვე გეტყვით, რომ ამ ოთხეულიდან ქართველი ფეხბურთელები, დავით კვირკველია და ირაკლი მოდებაძე ზაპოროჟიულ გუნდში თამაშობენ.

ფედერაციის კიდევ ერთ გადაწყვეტილებას — თითოეულ ლეგიონერზე 15 000 დოლარის გადახდას — დემეტრაძის კლუბის მმართველი დმიტრი სელიუკი ეურჩება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზარია ქართულად შეუტევს?
## ლუგანსკელებს გიგიაძეც მოუნდათ



**უკრაინული** ვებგვერდების ცნობით, კრივოი როგის „კრივბასის“ კაპიტნით და უკრაინის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირით, ვასილ გიგიაძით ლუგანსკის „ზარია“ დაინტერესდა.

უკრაინელი ჟურნალისტების აზრით, გიგიაძით კლუბის პრეზიდენტი ვალერი ბუკაევია დაინტერესებული, თუმცა ქართველი ფეხბურთელი მთავარ მწვრთნელ ალექსანდრ კოსევიჩისთვისაც სასურველი მოთამაშეა, რადგან ისინი „კრივბასში“ საკმაო ხანი თანამშრომლობდნენ.

აქვე შეგახსენებთ, რომ კოსევიჩს კიდევ ერთი ქართველის, ასევე ყოფილი შეგირდის, ნახევარმცველ ლადო ბურდულის „ზარიაში“ ხილვაც სურს...

გიგიაძის გადასვლით კი „ზარიას“ თავდასხმა შესაძლოა, წმინდა ქართული გახდეს. ლუგანსკელებს ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი გიორგი ჭელიძე მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ ჰყავთ ნათხოვარი და მისი კიდევ ერთი სეზონით დატოვება სურთ.

და ერთიც: გიგიაძეს ხვალ პრინციპული მატჩი ელის — „კრივბასი“ „ხარკოვს“ სტუმრობს, სადაც უნდა გადაწყდეს უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირის ვინაობა: თორმეტგოლიანი ალექსანდრ გლადკი თუ თერთმეტგოლიანი გიგიაძე?

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანრის ბრუტო და ნ-ეტოო
## ვენგერი ტიერის მაინც ყიდის?

„არსენალის“ ფრანგ ვარსკვლავ ტიერი ანრისა და „ბარსელონაზე“, კარგა ხანია, ლაპარაკობენ, მაგრამ ის, რაც გუშინ ინგლისურმა „თაიმსმა“ დაწერა, ლაპარაკზე მეტია: არსენ ვენგერს კატალონიური კლუბის შეფებისთვის უგრძნობინებია, რომ ანრის გასაყიდად მზადაა და დალაპარაკებია კიდეც.

„თაიმსი“ წერს: „არსენალის“ მწვრთნელი ესპანელთა ფინანსურ დირექტორ ფერან სორიანოს პარიზში შეხვდა და წინასწარი მოლაპარაკებებიც გაუმართა, მაგრამ ეს მოლაპარაკებები, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარისთვის კონკრეტული განცხადებისთვის საკმარისი არ არის“.

მეტიც, როგორც ირკვევა, ბარსელონელთა და ლონდონელთა პოზიციები ჯერჯერობით არ დაახლოვებულა, რადგან ვენგერმა სორიანოს ორიგინალური სვლა შესთავაზა: ანრის გაშვების კომბინაცია, სანაცვლოდ, სამუელ ეტოოს „არსენალში“ გადაბარგებით გაართულა.

ის, რომ ვენგერი ანრის გაყიდვას კატეგორიულად აღარ უარყოფს, კიდევ ერთმა ინგლისურმა გაზეთმა „გარდიანმაც“ დაადასტურა. დეტალები თითქმის იგივეა, იმ განსხვავებით, რომ „გარდიანის“ ინფორმაციით, ანრის სანაცვლოდ „ემირატ სტედიუმზე“ ეტოოს გადასვლა იმაზე მეტად არის მოსალოდნელი, ვიდრე „თაიმსს“ ჰგონია.

რა იქნება ეტოოსთან დაკავშირებით, ჯერ უცნობია, მაგრამ ანრი რომ უკვე გაქცევაზეა, ფაქტად ჩანს და, თუ კამერუნელის ამბავი არ გამოვიდა, ფრანგი ესპანეთში, შესაძლოა, 20 მილიონ გირვანქად გადავიდეს, ეს კი ევროებში 29,59 მილიონია, ხოლო დოლარებში 39,39 მილიონი.

ბაჩუნა ძიდია



# ინტერი ბარსას: ეტოო ჩვენ, ადრიანო თქვენ

თუ სამუელ ეტოოს აქამდე აქტიურად უკავშირებდნენ „მილანს“, ახლა საქმეში „როსონერის“ თანაქალაქელი „ინტერი“ ჩაერთო. კამერუნელმა ფორვარდმა ცოტა ხნის წინ კი თქვა, „ბარსადან“ წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ...

„ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, კატალონიელთა პრეზიდენტი ხუან ლაპორტა და „ინტერის“ წარმომადგენლები 4 ივნისს, ლუიშ ფიგუშ სადილზე დაპატიჟა, სადაც მხარეებმა ეტოოს ადრიანოში გაცვლაზე იმსჯელეს. დისციპლინის ხშირად დამრღვევ ბრაზილიელს „ნეროაძურიში“ გასული სეზონი რომ ჩაუვარდა, ალბათ მოგეხსენებათ და დიდი შანსია, „იმპერატორმა“ გუნდი გამოიცვალოს.

ადრიანო „ბარსელონას“ მთავარი ვარსკვლავის, რონალდინიოს მეგობარია. ლაპორტას აზრით, შეტევაში ისინი ჩინებულ წყვილს შექმნიან და, შესაბამისად, კატალონიელთა პრეზიდენტი „იმპერატორის“ ეტოოში გაცვლაზე სერიოზულად ფიქრობს, მით უმეტეს, „ინტერი“ გარკვეულ თანხასაც ამატებსო. „ბარსელონას“ საშუალება მიეცემა, ეს ფული ანრის ტრანსფერს წაახმაროს...

ძოძი ძანდელაძი

# 80-პროცენტიანი შევა
## მილანში დიდ ამბებს ელიან

იტალიური „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაადასტურა, რომ კლუბი რამდენიმე სერიოზულ ტრანსფერზე ფიქრობს. თუმცა ფანებს ისიც უთხრეს, ახლაც ძალიან ძლიერი გუნდი გვყავს და გული არ დაგწყდეთ, საერთოდ არავინ რომ დავიმატოთო.

„ჩვენ რამდენიმე ახალი ფეხბურთელის ყიდვა გვინდა, პირველ რიგში, თავდამსხმელისა და მცველის. საუბარია უმაღლესი კლასის მოთამაშეებზე და, შესაბამისად, მათი შეძენა ადვილი არ იქნება, მაგრამ მაქსიმალურად ვეცდებით. ამავე დროს მინდა, ფანებს ვუთხრა, რომ გული არ დასწყდეთ, თუ არავის დავიმატებთ, რადგან ისედაც ძლიერი გუნდი გვყავს. სამაგიეროდ, გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ არავინ წავა“ — აღნიშნა გალიანიმ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ საუბარი იყო ალბერტო ჯილარდინოს სავარაუდო წასვლაზე, თუმც, როგორც ჩანს, ყველაფერი მოგვარდა.

„მომავალ სეზონში რონალდოს ჩემპიონთა ლიგაშიც შეეძლება თამაში. ასევე გვყავს ფილიპო ინძაგი, ალბერტო ჯილარდინო და რიკარდო ოლივეირა. ასე რომ, თავდასხმაში პრობლემები არ გვაქვს და ჯილარდინოსთან ურთიერთობაშიც ყველაფერი კარგადაა“ — დასძინა გალიანიმ.

როგორც იცით, „მილანს“ არაერთ ვარსკვლავს უკავშირებენ — სამუელ ეტოო, ტიერი ანრი, რონალდინიო, ანდრეი შევჩენკო...

ეტოომ ცოტა ხნის წინ გადაჭრით თქვა, „მილანში“ არ მივიდვარო. გავრცელებული ცნობით, ამის მერე „როსონერიმ“ მთელი ყურადღება ისევ რონალდინიოზე გადაიტანა.

ბრაზილიელ ვარსკვლავს ახლა „ბარსელონაში“ საქმე არც ისე კარგად აქვს. ახალ კონტრაქტზე შეთანხმებაც ვერ ხერხდება. იმასაც ამბობენ, ახლახან კატალონიელთა ვარჯიში გააცდინა და წასვლაზეც სერიოზულად ფიქრობსო...

„მილანის“ პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ კი რონალდინიოს ტრანსფერისთვის 100 მილიონი ევრო გაამზადა და თუ საჭირო გახდა, ცოტა, მეტსაც დახარჯავს.

„ახლა მხოლოდ პრიმერადივიზიონის ბოლო ტური და შვებულება მაინტერესებს. მომავალზე დასვენების შემდეგ ვიფიქრებ“ — განუცხადა ბრაზილიელმა „ელ მუნდო დეპორტივოს“.

„არა მგონია, „ბარსამ“ რონალდინიო გაყიდოს. მით უმეტეს, სპონსორებს სურთ, რომ იგი ესპანეთში დარჩეს. რონალდინიოს სპონსორი „ნაიკია“, რომელსაც „მილანში“ უკვე ჰყავს რონალდო... გადაწყვეტილება მხოლოდ ფეხბურთელის მისაღები რომ იყოს, საქმე სხვაგვარად იქნებოდა“ — აღნიშნა ცნობილმა აგენტმა ერნესტო ბრონძეტიმ.

ამასობაში, ბერლუსკონიმ პრესას განუცხადა, რომ ანდრეი შევჩენკოს დაბრუნების იმედს არ ჰკარგავს და უკრაინელის დაბრუნების შანსი 80 პროცენტით შეაფასა.

„ბოლო დროს ეტოოს „მილანში“ გადმოსვლაზე ლაპარაკობენ. სამუელი მომწონს, ახალგაზრდა და ნიჭიერია, მაგრამ მე რომანტიკული ვარ და შევჩენკოს ვამჯობინებ. რამდენიმე დღის წინ გალიანიმ მითხრა, რომ შევას დაბრუნების შანსი მაღალია. ასე რომ, იმედიანად ვარ. ანდრეის დაბრუნება უნდა და მისი ხელფასი პრობლემა არ იქნება. იგი იმდენივეს მიიღებს, რამდენსაც სხვა ჩემპიონები იღებენ. რა თქმა უნდა, აქამდე „ჩელსისთან“ შეთანხმების მიღწევაა საჭირო. შევა ჩემთვის შვილივით არის. მასთან ერთად ბევრი მნიშვნელოვანი ამბავი გავიზიარე. მაგალითად, მამამისის ოპერაცია და მისი ვაჟის დაბადება, რომლის ნათლიაც გახლავართ“ — თქვა ბერლუსკონიმ.

დაბოლოს, იტალიური ცნობით, იბრაჰიმ ბა „მილანში“ დაბრუნდა. 34 წლის ფრანგი ნახევარმცველი მალე კოჭზე ოპერაციას გაიკეთებს და „როსონერის“ შეუერთდება.

„ძალიან მიხარია, რომ დაბრუნების შესაძლებლობა მომეცა. „მილანში“ თავს ყოველთვის კარგად ვგრძნობდი და ბოლო პერიოდში ბევრს ვშრომობდი, რათა კიდევ ერთი შანსი მომცემოდა“.

ძოძი ძანდელაძი




## გაბონელი თაღლითი დასაჯეს

ბერძნული „ლარისას“ გაბონელი ფორვარდი ანრი ანშოე დოპინგის მიღებისთვის ფეხბურთიდან ორი წლით მოკვეთეს. მაისში, საბერძნეთის თასის ფინალში „პანათინაიკოსთან“ (2:1) გაბონელმა მეორე გოლი გაიტანა და „ლარისას“ მოაგებინა. ნამატჩევს ტესტი ჩააბარა და ანალიზმა აჩვენა, რომ მის სისხლში აკრძალული პრეპარატი იყო.

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ამის გამო ფინალი არ გადათამაშდება და შედეგი ძალაში დარჩება. ანშოეს პროფესიონალის ლიცენზიაც ჩამოართვეს, „ლარისას“ კი ფულად ჯარიმას გამოუწერენ.

## ჩელსის მესამე მუქთა

„ბოლტონის“ ნახევარმცველი ტალ ბენ ჰაიმი „ჩელსიში“ გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ბენ ჰაიმს „ბოლტონთან“ ხელშეკრულება დაუმთავრდა და უფასოდ ერგო ლონდონურ კლუბს. ჩელსელებმა უკვე მესამე ფეხბურთელი გადაიბირეს მუქთად: პირველი სტივ სიდველი იყო „რედინგიდან“, მეორე კი კლაუდიო პიზარო „ბაიერნიდან“.

25 წლის ბენ ჰაიმმა „ბოლტონში“ 110 მატჩი ითამაშა, ისრაელის ნაკრებში კი — 22.

## ლაპარაკი ძაკერონისთან

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ მოლაპარაკება დაიწყო ალბერტო ძაკერონისთან, რომელსაც ნაკრების მწვრთნელობას სთავაზობენ.

ნაკრებს ახლა დროებით სტანიმირ სტოილოვი თავკაცობს. მან ვიგოს „სელტაში“ წასული ხრისტო სტოიჩკოვი შეცვალა.

## ოდემვინჭი იყიდება

მოსკოვის „სპარტაკს“ და დონეცკის „შახტარს“ „ლილის“ ნიგერიელი ფეხბურთელის, პიტერ ოდემვინჯის ყიდვა უნდათ.

„ეკიპის“ ცნობით, უკრაინული კლუბი 8 მილიონ ევროს იხდის, რუსული კი — თერთმეტს.

## ფოგელზანგი იცინის

„ფეიენოორდის“ ყიდვა მავან ინვესტორს უნდოდა 50 მილიონ ევროდ, მაგრამ უარი მიიღო. კლუბის ფინანსურმა მენეჯერმა პიტერ ფოგელზანგმა განაცხადა: „50 მილიონი სასაცილოა, „ფეიენოორდი“ ოთხჯერ მეტი ღირს. მათ რატომღაც ეგონათ, რომ აქციებს უმალ მივართმევდით. ეს გუნდი სახალხოა და ერთი კაცის ხელში მის ჩაგდებას არ ვაპირებთ.“

## ბელუჩი შინ დაბრუნდა

კლაუდიო ბელუჩი „ბოლონიადან“ „სამპდორიაში“ დაბრუნდა, სადაც გაიზარდა. 32 წლის ფეხბურთელმა გენუურ კლუბში 11 სეზონი გაატარა, სანამ „ვენეციაში“ გადავიდოდა. შემდეგ იყო „ნაპოლი“, ხოლო „ბოლონიაში“ 2002 წლიდან თამაშობდა. გასულ სეზონში სერია B-ში 19 გოლი შეაგდო.

„სამპდორიასთან“ ბელუჩიმ ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## რობენის ვაჭრობა

არიენ რობენის აგენტის ცნობით, ჰოლანდიელი ამჟამად „ჩელსისთან“ ახალ, გრძელვადიან კონტრაქტზე ვაჭრობს და კლუბიდან წასვლას არ აპირებს.

„ამჟამინდელი ხელშეკრულების ამოწურვამდე რობენს ორი წელი დარჩა და ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ არ უნდა გაახანგრძლივოს“ — თქვა აგენტმა.

ვაჟა ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღე უკანასკნელი...

**დევიდ ბექჰემმა** თქვა, რომ სტივ მაკლარენის ხელში ინგლისის ნაკრებში ადგილი გარანტირებული აქვს. 32 წლის ვარსკვლავმა, რომელიც მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში ხვალ უკანასკნელად თამაშობს, კერძოდ, ასე განაცხადა:

„თუკი ფიზიკურად კარგად ვიქნები მომზადებული და ისეთსავე ფორმაში ვიქნები, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რომ გახლდით, — რის გამოც დამაბრუნა მაკლარენმა ნაკრებში — პრობლემა არ მექნება".

ზემოთ ვახსენეთ, რომ ინგლისელი ვარსკვლავი ხვალ „რეალში" ბოლო თამაშს ჩაატარებს და „ლოს ანჯელეს გალაქსიში" გადაბარგდება.

[illegible] შარშან ზაფხულს [illegible] ჩემპიონატის შემდეგ [illegible] ინგლისის ნაკრებში (ბოლო დრომდე) აღარ ათამაშებდნენ — ახალი მწვრთნელი სტივ მაკლარენი არ სწყალობდა. ნახევარმცველს აუგად უფურებდა „რეალის" იტალიელი მწვრთნელი ფაბიო კაპელოც, რომელიც მიიჩნევდა, რომ ბექჰემის ფეხბურთელობა წარსულის ამბავია, მაგრამ ვარსკვლავმა გადაწყვიტა, როგორც ნაკრების, ასევე კლუბის ხელმძღვანელთათვის დაემტკიცებინა, რომ ისინი ცდებიან და მუხლჩაუხრელი შრომით დაამტკიცა კიდეც. ოღონდ ეგაა, კაპელოსგან დაწუნებულმა „ლოს ანჯელეს გალაქსი" გამოძებნა და ქომაგთა მრავალრიცხოვანი არმიის სამწუხაროდ, ევროპას ემშვიდობება.

სხვა ამბავია, რომ ბექჰის მტკიცებით, ოკეანის გაღმა ყოფნა მის სანაკრებო კარიერაზე ცუდად ვერანაირად ვერ იმოქმედებს:

„ამერიკაში ცხოვრება ჩემს ნაკრებში გამოძახებას არანაირად არ შეზღუდავს და მწვრთნელებმა ამის შესახებ უკვე მითხრეს. ჩემი მხრივ, გარანტიას ვიძლევი, რომ ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით, თუ უკეთესად არა, დღევანდელივით ნამდვილად ვიქნები, ასე რომ, აქ საწუხარი არაფერია. ვიცი, ზოგს ეგონა, რომ ჩემი ამერიკაში გადაბარგება, ფაქტობრივად, ფეხბურთიდან წასვლას ნიშნავდა, მაგრამ მერწმუნეთ, ასე არ არის. საბედნიეროდ, არის ხალხი, ვინც დარწმუნებულია, რომ უმაღლეს დონეზე ორ-სამ წელიწადს კიდევ ვითამაშებ და თავად ერთ-ერთი მათგანი გახლავართ".

რაც შეეხება მავანთა სურვილს, ბექჰემს ევროპასთან განშორება გადაათქმევინონ, ეს გამორიცხულია, რადგან მოგეხსენებათ, დევიდი მარტო არ არის, ის პოპ-ვარსკვლავი მეუღლის მეორე ნახევარია, ხოლო, პოპ-ვარსკვლავი მეუღლისთვის რას ნიშნავს ამერიკა და კერძოდ, ლოს ანჯელესი, „ჰოლივუდის" ქალაქი, ვფიქრობთ, ბევრი ახსნა-განმარტება არ სჭირდება. ბექჰემის მეუღლე ვიქტორია ადამსი უკვე რამდენიმე თვეა, ლოს ანჯელესში ბინადრობს, ტომ კრუზის სამეზობლოში სახლიც შეიგულა და ერთ-ერთ მრავალმაყურებლიან ტელეარხზეც გაჩარხა თავისთვის გადაცემა — წამყვანი იქნება. ასე რომ...

**ბაჩუნა ქიდია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## სტივენ ჯერარდი

**ნახევარმცველი**

დაიბადა 1980 წლის 30 მაისს უისტონში

სიმაღლე: 1,87 მეტრი

წონა: 82 კგ

კარიერა:

1997 წლიდან — „ლივერპული"

(268 მატჩი, 44 გოლი)

2000 წლიდან თამაშობს ინგლისის ნაკრებში

(56 მატჩი, 12 გოლი)






## HONDA accord

გამოშვების თარიღი: 2000 წელი

სიგრძე: 4,813 მეტრი

სიგანე: 1,816 მეტრი

სიმაღლე: 1,450 მეტრი

წონა: 1 588 კგ

ცილინდრი: 6

ძრავის კუბატურა: 3,0

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 227 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 7,9 წამში

ფასი: 30 000 დოლარი

## ტარდელიც მიდის

**მარკო ტარდელიმ** განაცხადა, რომ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ „იუვენტუსის" დირექტორთა საბჭოდან წავა. მან ჯერ კიდევ მაშინ ჩამოაგდო სიტყვა წასვლაზე, როცა მწვრთნელი დიდიე დეშანი გაათავისუფლეს.

— „იუვეში" მუშაობას იმიტომ დავთანხმდი, რომ ყოფილ კლუბს დავხმარებოდი, მაგრამ როგორც ჩანს, ამ საქმიდან არაფერი გამოვა. ამიტომაც ვანებებ თავს სამუშაოს" — თქვა ტარდელიმ, რომელიც ამჟამად ჰოლანდიაშია იტალიის 21-წლამდელთა ნაკრებთან ერთად.

## ტავანო ხუთი ღირს

**„ლივორნოს"** „ვალენსიადან" ფრანჩესკო ტავანოს ყიდვა უნდა.

ტავანო შარშან „ემპოლისგან" შვიდ მილიონ გირვანქად შეიძინა ესპანურმა კლუბმა, მაგრამ ფორვარდმა ვერ გაამართლა და იანვარში „რომას" მიაქირავეს.

„ლივორნოს" პრეზიდენტი ალდო სპინელი ვალენსიაში იყო და 3 მილიონ 500 ათასი გირვანქა შესთავაზა იქაურებს. „ლამურები" კი ხუთს ითხოვენ.

## მაკინტოშმა დეშანი ნახა

**„სანის"** ცნობით, „იუვენტუსის" ყოფილმა მწვრთნელმა დიდიე დეშანმა, შესაძლოა, „მანჩესტერ სიტი" ჩაიბაროს.

ორი დღის წინ პარიზში სიტელთა აღმასრულებელი შეფი ალისტერ მაკინტოში ჩავიდა და 38 წლის ფრანგს ესაუბრა.

დეშანის კონკურენტები არიან: კო ადრიანსე, მარკ ჰიუზი და კრის კოულმენი.

## პატოს ნათესავები

**ბრაზილიური** „ინტერნასიონალის" 17 წლის ფორვარდის, ალექსანდრო პატოს ყიდვას მილანის „ინტერი" ყველანაირი ხერხით ცდილობს. „ტუტოსპორტის" ცნობით, პატოს თანხმობის შემთხვევაში, ინტერელები ფეხბურთელის ხუთ ნათესავს იტალიაში დასაქმებას ჰპირდებიან.

„შავ-ლურჯები" 15 მილიონ ევროს იხდიან ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელში.

## ლავესი: ახალი ტევესი

**„ვერდერი"** მიროსლავ კლოზეს შემცვლელს ეძებს, რომელიც შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნში" გადავიდეს.

ბრემენული კლუბის სპორტული დირექტორი კლაუს ალოფსი სამხრეთ ამერიკაში ჩასულა და ფორვარდებს არჩევს. მას „სან ლორენსოს" 22 წლის მეგოლე ეზეკიელ ლავესი და „ველესის" 20 წლის მაურო ზარატე მოსწონებია.

ლავესი თამაშის მანერით ტევესს წააგავს და მისი ფასი ექვსი მილიონი ევროა.

## ფლორო ფლორესი

**„უდინეზემ"** „არეცოდან" ანტონიო ფლორო ფლორესი შეიძინა. 24 წლის ფორვარდი ვინჩენცო იაკინტას შეცვლის, ვინც ალბათ მალე „იუვენტუსში" გადავა.

ფლორო ფლორესმა კარიერა „ნაპოლიში" დაიწყო, შემდეგ „სამპდორიამ" წაიყვანა, რასაც „პერუჯა" მოჰყვა და ბოლოს „არეცოში" აღმოჩნდა.

## ბასილა ლარისადან

**„კოტბუსმა"** ბერძნული „ლარისადან" ფრანგი კრისტოფ ბასილა იყიდა. 29 წლის ფეხბურთელმა გერმანულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მას „სანდერლენდში" და „ვესტ ჰემშიც" უთამაშია, შარშან ზაფხულში კი „ლარისაში" გადავიდა.

„კოტბუსმა" მის სანაცვლოდ 250 ათასი ევრო გადაიხადა.

## აკალე რუსთან

**„ოსერის"** კოტდივუარელი ნახევარმცველი კანგა აკალე „ლანსში" გადავიდა და ოთხწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. მისი გადაბირება „ატლეტიკოს" და „ტულუზასაც" უნდოდათ, მაგრამ „ლანსი" არჩია, სადაც მწვრთნელად „ოსერის" ყოფილი თავკაცი გი რუ მივიდა.

26 წლის კოტდივუარელმა გასულ სეზონში ცხრა გოლი გაიტანა.

## როდრიგესს იანვარი უთხრეს

**„ვილიარეალის"** მცველმა გონსალო როდრიგესმა ვარჯიშის დროს მუხლის მყესები გაიწყვიტა და სულ ცოტა, ექვსი თვით დააკლდება გუნდს.

როდრიგესი ოპერაციას ვალენსიაში გაიკეთებს და ექიმების თქმით, ვარჯიშს ალბათ მომავალი წლის იანვარში დაიწყებს.

## ჩემპიონთა ლიგა 29 ივნისს

**ჩემპიონთა ლიგის** პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა 29 ივნისს, პარასკევს უეფას შტაბბინაში, ნიონში გაიმართება. ცერემონია ჩვენი დროით ორ საათზე დაიწყება.

წილისყრას უხელმძღვანელებენ უეფას გენმდივანი დევიდ ტეილორი და საკლუბო ტურნირების განყოფილების უფროსი მიკელე ჩენტენარო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ვალენსია | : | სოსიედადი |
| ბილბაო | : | ლევანტე |
| სევილია | : | ვილიარეალი |
| რეალი | : | მალიორკა |
| უელვა | : | სარაგოსა |
| ესპანიოლი | : | დეპორტივო |
| ხიმნასტიკი | : | ბარსელონა |
| სელტა | : | ხეტაფე |
| ოსასუნა | : | ატლეტიკო |
| რასინგი | : | ბეტისი |

# ესპანეთი

პრიმერადივიზიონის ჩემპიონის გარკვევის დროც დადგა. ლა ლიგას, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში ცეცხლი ეკიდა, ბოლოს და ბოლოს, პატრონი უნდა გამოუჩნდეს. ასეთი დაძაბული პრიმერა ბოლო 5-6 წელია, არ გვინახავსო — აცხადებენ პირინეებზე. მოკლედ, ვნახოთ, რა, როგორ მოხდება, მანამდე კი მთავარ მატჩთა მონაწილეებთან ინტერვიუებს გთავაზობთ...



გრეგორიო მანსანო
„მალიორკას"
მთავარი მწვრთნელი

— ლა ლიგის ფინალური მატჩის მოლოდინში კვირა როგორ გაატარეთ?

— თავისებური, განსხვავებული კვირა იყო. ფეხბურთელებთან და პრესასთან ხშირი შეხვედრები მქონდა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ პრიმერადივიზიონის „საფინალო მეჯლისის" მთავარი სტუმრები ვართ.

— ესპანეთში ყველა „მალიორკას" პრემიებზე ლაპარაკობს. ამბობენ, რომ თუ „რეალი" დაამარცხეთ, უზარმაზარ თანხას მიიღებთ...

— დამღალეს უკვე ამაზე ლაპარაკით. დავუშვათ, მოვიგეთ, მერე? თუ 37 ტურის განმავლობაში მოედანზე მოსაგებად გავდიოდით, „ბერნაბეუზე" 3 ქულის აღება რატომ არ უნდა მოვინდომოთ? უაზრო ეჭვიანობა სკანდალისტებმა თავისთვის დაიტოვონ, მე მადრიდში სუფთა სინდისით მივდივარ.

— რამონ კალდერონს „საჩემპიონო წრე" აპატიეთ? „რეალის" პრეზიდენტმა „სარაგოსასთან" თამაშის მერე „ლა რომარედაზე" ისეთი ფიესტა მოაწყო...

— მე კალდერონს მოსამართლედ ვერ დავუდგები, თუმცა არა მგონია, „რეალის" პრეზიდენტს საჩემპიონო ფიესტისთვის დრო და ადგილი სწორად შეერჩია. კალდერონს ჩვენთვის შეურაცხყოფა არ მოუყენებია, მაგრამ ვთვლი, რომ მან მოვლენებს გაუსწრო.

— „ბერნაბეუზე" რობინიო ითამაშებს. არადა, ფიფას დებულებით, ბრაზილიელი უკვე სამშობლოში უნდა იყოს თავისი ნაკრების შეკრებაზე. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— იმას, რომ რობინიოს მადრიდში დარჩენისთვის პრესას ყურადღება არ მიუქცევია. აი, „მალიორკას" არანგომ რომ განაცხადა უარი ვენესუელის ეროვნული გუნდის შეკრებაზე გამოცხადებაზე, ერთი ამბავი ატეხეს, აქაოდა, არანგო ევროპაში „რეალთან" მოგებისთვის აღთქმული პრემიებისთვის დარჩაო. რა, ესე იგი, რობინიო 38-ე ტურში ფულის გულისთვის თამაშობს? რატომ ხდება ხოლმე, რომ „მალიორკას" და სხვა „რიგითი" გუნდების ფეხბურთელებზე ათასგვარ ზღაპრებს აგებენ, რეალელები კი ღმერთებივით მიუკარებელნი რჩებიან?!

— ამ „რეალმა" მატჩის ბოლო წუთებში გადარევა იცის, მინდორზე სასწაულებს ახდენს...

— რა გითხრათ... თუ მადრიდელებმა მოიგეს, ვიტყვი, რომ ეს დაიმსახურეს, რადგან ბოლო მატჩებში მართლაც ღირსეულად ითამაშეს.

— თუ „რეალმა" პრიმერა მოიგო, „ბერნაბეუზე" ბერნდ შუსტერის მისვლას და ფაბიო კაპელოს დათხოვნას მოიწონებთ?

— ფეხბურთი ამოუცნობია. მე კი მიმაჩნია, რომ, რახან გუნდში კაპელო მოიყვანე და კონტრაქტი გაუფორმე, ვადა ბოლომდე უნდა მიაყვანინო, მაგრამ, ვინ იცის, „რეალის" უფროსობა როგორ მოიქცევა.

— კაპელოს დღევანდელი სიტუაცია გრეგორიო მანსანოს შარშანდელ თავგადასავალს ჰგავს...

— 2006-ის ბოლოს კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზეს, თუმცა მაშინ სამი სულელური მატჩი ჩავატარეთ და ყველამ მძაფრად გამაკრიტიკა. კლუბის ისტორიაში ერთადერთი თასის მოპოვების შემდეგ ხალხის მახსოვრობამ რატომღაც ცუდად მოქმედება დაიწყო. ვფიქრობ, ამას არ ვიმსახურებდით და დრომ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა.

— „ბარსაზე" რას გვეტყვით?

— „ბარსელონა" წლეულსაც იმათ რიცხვშია, რომლებიც მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ შიდა ძვრებმა კლუბს ზიანი მიაყენა და კატალონიელებსაც მოგება ძალიან უჭირთ.

— თუ წლეულს „ბარსელონა" ჩემპიონი გახდა, კატალონიელთა მომგებიანი ციკლი დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ?

— ციკლები ასე ადრე არ სრულდება. პერიოდის დასრულებისთვის კიდევ მინიმუმ ერთი წელია საჭირო. თუმცა „ბარსას" რომ პრობლემები აწუხებს, ეს ცხადზე ცხადია...

# საფინალო მეჯლისის გმირები

დევიდ ბექემი
„რეალის"
ნახევარმცველი

— თუ არსებობს რაიმე შანსი, რომ ოდესმე „რეალში" დაბრუნდეთ?

— არა. „ბერნაბეუზე" ჩემი ბოლო მატჩი კვირას გაიმართება. მომავალს „ლოს ანჯელეს გალაქსის" ვუკავშირებ. ამ შეთანხმებაში არანაირი მუხლი არ არსებობს, რომელიც „რეალში" ჩემი დარჩენის შესაძლებლობას ითვალისწინებს. ის ოთხი წელი კი, „ბერნაბეუზე" რომ გავატარე, ჯადოსნური იყო.

— როდის შეგატყობინათ კასტილიური გუნდის უფროსობამ, რომ კარიერას „ბერნაბეუზე" აღარ გააგრძელებდით?

— იანვარში ვიცოდი, ჩემზე უარს რომ იტყოდნენ. პერსონალურად მაშინ შემატყობინეს, კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ვაპირებთო. წასვლის გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის იოლი არ ყოფილა, ამაზე დიდი ხანი ვფიქრობდი. მინდა, მთელი მსოფლიოს გასაგონად ვთქვა, რომ „რეალი" ძალიან დამაკლდება, ისევე, როგორც ესპანეთი.

— „რეალის" პრეზიდენტს თქვენთვის არ უთქვამს, დარჩიო?

— არა.

— რას იტყვით იმ ხალხის მისამართით, რომლებსაც სჯერათ, რომ ბექემს „ბერნაბეუზე" ორი-სამი სეზონი მაინც უმაღლეს დონეზე შეეძლო თამაში?

— სპორტსმენის ცხოვრებაში მოდის დრო, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიიღო და მეც ჩემს გადაწყვეტილებამდე მივედი. „რეალთან" კონტრაქტი მიმთავრდებოდა და ჩემთვის სასიკეთო არაფერი ისმოდა. რაღა უნდა მექნა? ამერიკაში გადასვლაზე დავიწყე ფიქრი. იცით, მადრიდელებთან რა კარგ ურთიერთობაში ვარ? მათ მხარდაჭერას არასდროს დავივიწყებ და მინდა, ამისთვის ფანობას მადლობა გადავუხადო. დარწმუნებული ვარ, სპორტული და ადამიანური თვალსაზრისით, აქ დარჩენაში ხელს არაფერი შემიშლიდა. მართლა შემეძლო, ორი-სამი სეზონი „რეალში" მაღალ დონეზე მეთამაშა, მაგრამ „რეალის" პრეზიდენტს და მწვრთნელ ფაბიო კაპელოს მაინც უდიდეს პატივს ვცემ. კაპელო ერთ-ერთი საუკეთესოა იმ მწვრთნელთა შორის, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. მას ყოველივე კარგს ვუსურვებ. გუნდს რომ ვტოვებ, ამაში ფაბიოს ვერ დავადანაშაულებ.

— იანვარში კალდერონმა თქვა, ბექემი ლოს ანჯელესში იმიტომ მიდის, რომ ჰოლივუდში მეორე ხარისხოვან მსახიობად გადაიქცესო. ახლა კი თქვენს შენარჩუნებას ცდილობს. არ ბრაზდებით ამაზე?

— რაც „რეალთან" ხელშეკრულება გავაფორმე, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. გამოვიცვალე ბევრი მწვრთნელი, თანაგუნდელი, პრეზიდენტი... საცხოვრებელი ადგილის გამოცვლაც რამდენჯერმე მომიხდა. აქ „მანჩესტერისგან" კარდინალურად განსხვავებულ პრობლემებს წავაწყდი, თუმცა მადრიდის „რეალს" არასდროს გავაკრიტიკებ. გულშემატკივრებისგან იმხელა დაფასება ვნახე, რომ ჩემგან „რეალის" ლანძღვა ღორობა იქნება...

— გწყინთ, რომ „რეალს" ტოვებთ?

— ახლა უფრო მნიშვნელოვანია, „მალიორკასთან" თამაშზე თუ ვიფიქრებთ. მე „ბერნაბეუზე" მარტო ვარსკვლავების გვერდით სათამაშოდ არ მოვსულვარ, არამედ იმისთვის, რომ, როგორც ფეხბურთელი, უფრო გავზრდილიყავი და ტიტულები მომეგო.

— წლეულს მძიმე სეზონი გქონდათ?

— ყველაზე მძიმე, რაც კარიერაში მქონია. ამ სეზონში ისეთი რამეები მოხდა, რასაც ადრე ვერ წარმოვიდგენდი. კიდევ კარგი, ოჯახი და მეგობრები გვერდით მყავდნენ.

— მადრიდში კარგა ხანი ხუმრობდნენ, რომ ესპანური ვერ ისწავლეთ. შეგიძლიათ, ინჩასებს მათ მშობლიურ ენაზე მიმართოთ?



— გრასიას პორ ტოდო! (მადლობა ყველაფრისთვის!) იმდენი ესპანური ნამდვილად ვისწავლე, „რეალის" საოცარ ფანობას მადლობა რომ გადავუხადო. გრასიას ა ლა პრენსა, გრასიას ესპანია, გრასიას ბერნაბეუ... მრცხვენია ჩემი ესპანურის გამო, თუმცა ვთვლი, რომ ცუდი გამოთქმა არ მაქვს.

— ყველაზე მეტად რას გაიხსენებდით?

— იმ დღეს, როცა „რეალთან" კონტრაქტი გავაფორმე. სამომავლოდ შეიძლება 17 ივნისი უფრო დამამახსოვრდეს, ჩვენ ხომ ჩემპიონობა უნდა მოვიგოთ.

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 2:0 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 0:3 | 1:1 | 3:1 | | 4:3 | 2:0 | 3:1 | 0:1 | 0:0 | 2:1 | 1:2 | 2:0 | 2:0 | 37 | 22 | 7 | 8 | 63:39 | 73 | 11 | 4 | 3 | 29:17 | 37 | 11 | 3 | 5 | 34:22 | 36 |
| 2 | ბარსელონა | 3:3 | | 3:1 | 1:1 | 3:1 | 4:0 | 1:1 | 3:0 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 2:2 | 3:0 | 2:1 | 1:0 | 1:1 | 3:0 | 3:1 | 1:0 | 3:0 | 37 | 21 | 10 | 6 | 73:32 | 73 | 14 | 5 | 0 | 41:12 | 47 | 7 | 5 | 6 | 32:20 | 26 |
| 3 | სევილია | 2:1 | 2:1 | | 3:0 | 3:1 | | 3:1 | 2:1 | 1:0 | 0:0 | 1:2 | 3:1 | 2:0 | 4:0 | 4:0 | 3:2 | 4:1 | 2:0 | 0:0 | 2:1 | 37 | 21 | 8 | 8 | 64:34 | 71 | 15 | 2 | 1 | 41:12 | 47 | 6 | 6 | 7 | 23:22 | 24 |
| 4 | ვალენსია | 0:1 | 2:1 | 2:0 | | 2:0 | 2:3 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 0:2 | 3:1 | 3:2 | 1:0 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | | 4:0 | 37 | 20 | 5 | 12 | 54:39 | 65 | 14 | 1 | 3 | 37:13 | 43 | 6 | 4 | 9 | 17:26 | 22 |
| 5 | სარაგოსა | 2:2 | 1:0 | 2:1 | 0:1 | | 1:0 | 1:0 | 0:0 | 3:1 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 1:2 | 1:1 | 2:2 | 2:1 | 4:3 | 2:0 | 3:2 | 3:0 | 37 | 16 | 11 | 10 | 54:42 | 59 | 12 | 5 | 2 | 33:16 | 41 | 4 | 6 | 8 | 21:26 | 18 |
| 6 | ვილიარეალი | 1:0 | 2:0 | 0:0 | 0:1 | 3:2 | | 0:1 | 0:1 | 1:0 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 1:4 | 0:2 | 1:1 | 3:2 | 3:1 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 37 | 17 | 8 | 12 | 47:44 | 59 | 10 | 4 | 5 | 23:18 | 34 | 7 | 4 | 7 | 24:26 | 25 |
| 7 | ატლეტიკო | 1:1 | 0:6 | 2:1 | 0:1 | 0:1 | 3:1 | | 2:1 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 1:2 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 2:3 | 1:1 | 0:0 | 37 | 16 | 9 | 12 | 44:38 | 57 | 8 | 6 | 5 | 20:20 | 30 | 8 | 3 | 7 | 24:18 | 27 |
| 8 | უელვა | 2:3 | 0:4 | 1:3 | 2:0 | | 2:1 | 1:0 | | 1:2 | 4:2 | 1:1 | 0:1 | 2:0 | 1:1 | 0:1 | 2:0 | 0:0 | 4:2 | 1:0 | 2:1 | 37 | 15 | 8 | 14 | 53:51 | 53 | 9 | 3 | 6 | 26:22 | 30 | 6 | 5 | 8 | 27:29 | 23 |
| 9 | ხეტაფე | 1:0 | 1:1 | 0:0 | 3:0 | 2:2 | 3:0 | 1:4 | 1:1 | | 1:0 | 1:0 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 37 | 14 | 10 | 13 | 38:31 | 52 | 9 | 7 | 3 | 21:11 | 34 | 5 | 3 | 10 | 17:20 | 18 |
| 10 | რასინგი | 2:1 | 0:3 | 0:0 | 1:0 | 0:2 | 2:1 | 0:1 | 4:3 | 1:0 | | 0:2 | 1:1 | 1:0 | 0:0 | 2:3 | | 5:4 | 1:1 | 1:0 | 4:1 | 37 | 12 | 14 | 11 | 42:46 | 50 | 9 | 4 | 5 | 25:23 | 31 | 3 | 10 | 6 | 17:23 | 19 |
| 11 | მალიორკა | 0:1 | 1:4 | 0:0 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 0:0 | 2:1 | 2:0 | 1:2 | | 1:0 | 3:1 | 0:0 | 3:1 | 2:0 | 1:3 | 2:2 | 0:0 | 1:0 | 37 | 14 | 7 | 16 | 40:44 | 49 | 8 | 5 | 6 | 22:19 | 29 | 6 | 2 | 10 | 18:25 | 20 |
| 12 | ესპანიოლი | 0:1 | 3:1 | 2:1 | 1:1 | 1:2 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 1:5 | 2:2 | 3:1 | | 0:0 | | 1:1 | 2:2 | 3:2 | 2:1 | 1:0 | 0:1 | 37 | 12 | 13 | 12 | 45:50 | 49 | 7 | 6 | 5 | 25:24 | 27 | 5 | 7 | 7 | 20:26 | 22 |
| 13 | ოსასუნა | 1:4 | 0:0 | 0:0 | 1:1 | 2:2 | 1:4 | | 1:1 | 0:2 | 0:1 | 3:0 | 0:2 | | 4:1 | 2:1 | 5:1 | 1:1 | 0:1 | 2:0 | 2:0 | 37 | 13 | 7 | 17 | 50:47 | 46 | 6 | 6 | 6 | 25:22 | 24 | 7 | 1 | 11 | 25:25 | 22 |
| 14 | დეპორტივო | 2:0 | 1:1 | 1:2 | 1:2 | 3:2 | 2:0 | 1:0 | 2:5 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | | 0:0 | 0:1 | 0:2 | 0:1 | 2:0 | 1:0 | 37 | 11 | 11 | 15 | 29:44 | 44 | 9 | 4 | 6 | 19:16 | 31 | 2 | 7 | 9 | 10:28 | 13 |
| 15 | ლევანტე | 1:4 | 1:1 | 2:4 | 4:2 | 0:0 | 0:2 | 0:3 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 0:1 | 0:0 | 1:4 | 2:0 | | 1:1 | 0:0 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 37 | 10 | 12 | 15 | 37:51 | 42 | 6 | 7 | 6 | 22:25 | 25 | 4 | 5 | 9 | 15:26 | 17 |
| 16 | ბეტისი | 0:1 | 1:1 | 0:0 | 2:1 | 1:1 | 3:3 | 0:1 | 0:0 | 0:2 | 1:1 | 0:1 | 1:1 | 0:5 | 1:1 | 2:1 | | 3:0 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 37 | 7 | 16 | 14 | 34:49 | 37 | 4 | 9 | 6 | 17:22 | 21 | 3 | 7 | 8 | 17:27 | 16 |
| 17 | ბილბაო | 1:4 | 1:3 | 1:3 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 1:4 | 4:2 | 2:0 | 0:0 | 1:0 | 2:1 | 0:3 | 1:1 | | 1:2 | | 0:1 | 1:1 | 0:2 | 37 | 9 | 10 | 18 | 42:62 | 37 | 5 | 4 | 9 | 17:28 | 19 | 4 | 6 | 9 | 25:34 | 18 |
| 18 | სელტა | 1:2 | 2:3 | 1:2 | 3:2 | 1:1 | 1:1 | 1:3 | 1:2 | | 2:2 | 0:3 | 0:2 | 0:2 | 1:0 | 1:2 | 2:1 | 1:1 | | 0:0 | 1:1 | 37 | 9 | 9 | 19 | 38:58 | 36 | 3 | 6 | 9 | 19:30 | 15 | 6 | 3 | 10 | 19:28 | 21 |
| 19 | სოსიედადი | 1:2 | 0:2 | 1:3 | 0:1 | 1:3 | 0:1 | 2:0 | 2:3 | 0:0 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 2:1 | 0:1 | 1:0 | 0:0 | 0:2 | 3:1 | | 3:2 | 37 | 8 | 10 | 19 | 29:44 | 34 | 6 | 4 | 9 | 20:24 | 22 | 2 | 6 | 10 | 9:20 | 12 |
| 20 | ხიმნასტიკი | 1:3 | | 1:0 | 1:1 | 1:0 | 0:3 | 0:2 | 1:1 | 1:3 | 2:2 | 2:3 | 4:0 | 2:3 | 0:0 | 2:1 | 0:1 | 2:3 | 1:2 | 1:3 | | 37 | 7 | 7 | 23 | 33:64 | 28 | 4 | 4 | 10 | 22:31 | 16 | 3 | 3 | 13 | 11:33 | 12 |

კვირას ლა ლიგის ბოლო ტურია. „რეალს“ ჩემპიონობის მაძიებელ სხვა პრეტენდენტებთან შედარებით უკეთესი სიტუაცია აქვს — კასტილიელებმა მადრიდში „მალიორკას“ თუ სძლიეს, ჩემპიონი სამეფო გუნდი გახდება. თუმცა არც მადრიდს და არც კატალონიას არ დავიწყებიათ „ტენერიფული ფაქტორი“ — ოთხმოცდაათიან წლებში კუნძულელებმა „რეალი“ ორჯერ დაამარცხეს ბოლო ტურში და ორჯერვე ჩემპიონობა „ბარსამ“ იზეიმა...

გთავაზობთ ინტერვიუებს „ბარსელონას“ მეტოქესთან, ხიმნასტიკელ ხავიერ პორტილიოსთან და კატალონიელთა ძველ ვარსკვლავ მიგელ ანხელ ნადალთან...

# ხავიერ პორტილიო: რეალი თავის თამაშზეა დამოკიდებული და არა ჩემს გოლებზე

**— ლა ლიგა მთავრდება და „ხიმნასტიკიც“ 2006-07 წლების კამპანიას ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ „ბარსელონასთან“ ამთავრებს. ცხადია, სეზონთან დამშვიდობება კარგი თამაშით გენდომებათ...**

— ვეთანხმებით. ჩემი აზრით, „ხიმნასტიკი“ — „ბარსელონა“ ლამაზი, სანახაობრივად მიმზიდველი მატჩი იქნება.

**— თქვენ მადრიდის „რეალის“ სკოლის აღზრდილი ხართ. ამიტომაც „ბარსასთან“ თამაშს ალბათ განსაკუთრებული დატვირთვა ექნება...**

— ჩემთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია. მოედანზე, რა თქმა უნდა, მოსაგებად გავალთ. მეც ვეცდები, ჩემი საქმე ასი პროცენტით შევასრულო, რათა „ხიმნასტიკის“ მაისურას და ამ გუნდის ინჩასებს პატივი ვცედა თუ ამით ჩემს ყოფილ გუნდ მადრიდის „რეალსაც“ დავეხმარები, მაშინ მთლად უკეთესი.

**— ალბათ, მადრიდიდან უამრავმა ვინმემ დაგირეკათ...**

— დიახ. მადრიდში ბევრი მეგობარი მყავს. რომელ გუნდშიც არ უნდა გადავიდე, მათთან შესანიშნავ ურთიერთობას მაინც ვინარჩუნებ.

**— და, რა თქმა უნდა, „ბარსასთან“ ერთი „პატარა“ გოლის გახერხება გთხოვეს...**

— ერთი რამ უნდა გავარკვიოთ — ლა ლიგის ბედი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უნდა გაირკვეს და არა „ხიმნასტიკის“ სტადიონზე. „რეალი“ თავის თამაშზეა დამოკიდებული და არა ხავიერ პორტილიოს გოლებზე.

**— „მალიორკასთან“ ფაბიო კაპელოს ბიჭების წაგება გამორიცხული გგონიათ?**

— ძალიან გამიკვირდება, „რეალმა“ შინ რომ ვერ მოიგოს. კაპელოს ბიჭებს თავიანთი მიზანი აქვთ და საჩემპიონო შანსებს ასე ადვილად არ განიავებენ. მე „რეალს“ ლა ლიგის მოგებაზე 85 პროცენტს მივაკუთვნებდი. „მალიორკას“ პატივს ვცემ, მაგრამ მგონია, რომ „რეალი“ თავის საქმეს მაინც გააკეთებს.

**— თქვენ ასეთი რამ ადრე უკვე განიცადეთ...**

— დიახ, ეს ვისენტე დელ ბოსკეს მწვრთნელობის ბოლო სეზონში იყო.

**— მაშინაც ბოლო მატჩი უნდა მოგეგოთ და „ბილბაო“ 3:1 დაამარცხეთ...**

— მეგონა, „ბერნაბეუ“ აფეთქდებოდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, 90 ათასი კაცი სიხარულისგან რომ ღრიალებს...

**— ბარსელონაში კი უკვე ჩათვალეს, რომ „ხიმნასტიკთან“ იოლად მოიგებენ...**

— „ბარსელონას“ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს მოსაგებად. ფრანკ რაიკარდს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ჰყავს, მაგრამ გრანდები, როგორც იცით, ტარაგონაში ხშირად წვალობენ ხოლმე.

**— თქვენ ფულად ჯილდოებს არ ელოდებით?**

— ამ სეზონში ქომაგთა წინაშე ბოლო მატჩს ვატარებთ და მათი გახარება ჩვენთვის ფულის მიღებაზე უფრო მთავარია.

**— თან ხავიერ პორტილიო „ხიმნასტიკში“ თავის კარიერას ასრულებს. როგორ გინდათ, რომ გაგიხსენონ?**

— როგორც ფეხბურთელი, რომელმაც „ხიმნასტიკის“ ღირსების დასაცავად მთელი სეზონის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო.



# სადაც ორი, იქ მესამეც კლუბს ფეხბურთელი არ უნდა მართავდეს



**— ისტორიის განმეორებისა თუ გჯერათ?**

— რა თქმა უნდა, მჯერა. ფეხბურთი მოულოდნელობებით არის სავსე და ყველაფერი შეიძლება, მოხდეს.

**— იმ „ტენერიფეს“ სეზონებზე რას გვეტყვით?**

ჩვენი „ლელოები" ბუქარესტში იტალიის „ა" ნაკრებს ერაგბებიან, იქამდე ნამიბიას მოუგეს, სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელებთან ანუ „მზარდ ქურციკებთან" კი წააგეს. ერთხელაც ვთქვათ, რომ IRB-ის ერთა თასი თავისი ფორმატით სადებიუტოა, ქართველებმა კი ნამიბიას მოგებით ფსიქოლოგიური უპირატესობაც მოიპოვეს, რაკი ნამიბია წლევანდელ მსოფლიოს თასზე ჩვენების მთავარი მეტოქეა. მათი დამარცხება „ლელოების" მინიმუმიცაა და მაქსიმუმიც. ერთიც, საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზე მეორე შემადგენლობით ჩავიდა.

გუშინ ბუქარესტში ჩვენების კაპიტანს ილია ზედგინიძეს დავუკავშირდით, რომელიც ტრავმირებულია და რუმინეთში ნაკრებს მენეჯერის სტატუსით ახლავს

— ტურნირზე მთავარი საქმე უკვე გააკეთეთ. ნამიბიას მოუგეთ, სამხრეთ აფრიკას კი მართლაც ღირსეულად ეთამაშეთ. ახლა იტალიის „ა" ნაკრებს ხვდებით?

— იტალიის მეორე გუნდის თამაში ვნახეთ. მართალია, რუმინეთის ნაკრებმა მოუგო, მაგრამ დამიჯერეთ, იტალიელები მეორე შემადგენლობითაც ძლიერები არიან. რუმინეთთან ისეთი მატჩი იყო, შეიძლებოდა „ატურას" გაემარჯვა კიდეც. მიუხედავად ამისა მჯერა, რომ მათი მოგება რეალურია, თან მაშინ, როცა ჩვენც ექსპერიმენტული შემადგენლობა გვყავს.

— საამისო საფუძველს რა გაძლევს, მითუმეტეს, თავად თქვი, სათადარიგოებით ვთამაშობთო...

— ვინც გვყავს, ყველა კარგ ფორმაშია, თანაც ძალიან კარგი თაობა მოდის. თქმა არ უნდა, მსოფლიოს თასის წინ ნაკრებში დიდი კონკურენცია იქნება. ამასთან ეს ტურნირი მსოფლიოს თასის წინ მოსათელი რაგბია და დასაკარგი არაფერია. იტალიის მეორე ნაკრებს არ ჰყავს ჩვენი დონის ლეგიონერები და რატომღაც მგონია, რომ თუ ჩვენს თამაშს ვითამაშებთ, აუცილებლად მოვიგებთ.

— საამისოდ განსაკუთრებით ემზადებით?

— არა, ჩვეულებრივად ვვარჯიშობთ. ნამიბიასთან მოგების და სამხრეთ აფრიკასთან მართლაც კარგად თამაშის შემდეგ ბიჭებმა თავიანთი თავის ირწმუნეს — იტალიის მეორე ნაკრების დამარცხებას აპირებენ.

**ბაჩო სვანიძე**

# სამი ერი 2007

# სამხრეთული ომები

## თეთრებით აფრიკა იწყებს, შავები ისვენებენ

16 ივნისი. კეიპტაუნი

**სამხ. აფრიკა — ავსტრალია**

**სამხრეთ აფრიკა:** მონტგომერი, ვილემსე, ფური, დე ვილერსი, პეტერსენი; ჯეიმსი, პინარი; სპისი, ი. სმიტი, ბურგერი, მეტფილდი, ბ. ბოთა, ბჟ. ბოთა, სმიტი (კაპ), სტეენკამპი

*სათადარიგოები:* გ. ბოთა, ფან დერ ლინდე, მულერი, როსოუ, კლაასენსი, ოლივიე, შტეინი

**მწვრთნელი:** ჯეკ ვაიტი

**ავსტრალია:** ჰუქსლი, მიჩელი, მორტლოკი (კაპ), ტიტუ, ტუკირი; ლარქამი, გრეგანი; პალუ, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, მური, დაუნინგი

*სათადარიგოები:* ფრეიერი, ბაქსტერი, ჩიშოლმი, ჰოილისი, ვუ. ეშლი-კუპერი, ჯერარდი

**მწვრთნელი:** ჯონ კონოლი



მეტ ჭიტუ: ავსტრალიელთა ლიდერი და იმედი

AFP

დღეს სამხრეთ ნახევარსფეროს სარაგბო ტიტანები სამი ერის პირველობას იწყებენ. ყოველთვის და ყველგან ფავორიტი ახალი ზელანდია, საუკეთესო ფორმაში მყოფი სამხრეთ აფრიკა და ცოტა მობერებული ავსტრალია ერთმანეთს ძველებურად დიდ ომს გაუმართავენ. ახალი ზელანდია პირველ ტურში ისვენებს, სამხრეთ აფრიკა კი კეიპტაუნში ავსტრალიას მასპინძლობს. გუნდები ერთმანეთს სამ-სამჯერ ხვდებიან სტუმარ-მასპინძლობის პრინციპით. მესამე წრეში კენჭისყრა არკვევს, რომელი რომელ მეტოქეს შეხვდება შინ და რომელს — გარეთ. ასეც და ისეც ყველა მონაწილეს სამი თამაში სტუმრად უწევს და სამიც — გარეთ.

ამ გიგანტი-ნაკრებების სოლიდურობაზე ლაპარაკს ახლა ნუ მოვყვებით, რაც შეეხება თამაშის ხარისხს, მცოდნე ხალხი ამბობს, რაგბის გულშემატკივარი საოცარი სანახაობას იხილავსო.

წელს „ქურციკები" განსაკუთრებით კარგ ფორმაში არიან, აკი ზე-14-ს ფინალიც სუფთა აფრიკული გახლდათ. ასე რომ ფავორიტები მასპინძლები არიან, მით უფრო რომ სამი ერის პირველობაზე ავსტრალიას აფრიკაში მხოლოდ 2000 წელს მოუგია. „ვოლაბების" თავკაც ჯონ კონოლის აზრით, „ქურციკთა" დამარცხებისთვის მათი ჰაერგაუმტარი დაცვის გარღვევაა საჭირო, ხოლო რამდენად ხელეწიფებათ ოზებს ეს, ამას ხვალინდელი თამაში გაარკვევს. სამხრეთ აფრიკული რაგბი დღესდღეობით ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, გუნდი კი ფიზიკური და ტაქტიკური ფორმის პიკზეა.

ავსტრალიელთა ყურადღება და იმედები მსოფლიო რაგბის ვარსკვლავ მეტ ჭიტუსკენ არის მიპყრობილი, რომლის ფეთქებადმა სიჩქარემ და ჭკვიანმა თამაშმა შეიძლება ნებისმიერი გუნდს შეურყოს დაცვა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალია საფრიკასთან თითქმის უშანსოდაა, ორივე გუნდი თვალსასეირო და დაძაბულ სანახაობას გვპირდება.

**ზურაბ მიგრიაული**





# ჩვენმა აგენტმა ლატვია გაშიფრა

## გაფრინდაშვილი გუნდზე ნაკრების შემდეგ იფიქრებს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი მეტოქე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ლატვიაა. ამ ქვეყნის ნაკრები ჩვენებისთვის ფაქტობრივად უცნობია, თუმც მის რამდენიმე მოთამაშეს გიორგი გაფრინდაშვილი, ჩვენი ნაკრების გამთამაშებელი, პირადად იცნობს და მათი ავანჩავანიც კარგად მოეხსენება. გაფრინდაშვილმა გასული სეზონი რიგის ასკ-ს დუბლიორებში გააჭარა და სწორედ ამ გუნდიდან მოხვდა ლატვიის ახალგაზრდულში რამდენიმე მოთამაშე. გიორგი ახლა გამალებით ემზადება ევროჩემპიონატისათვის და ვარჯიშზე რომ ვნახეთ, საკლუბო ამბებთან ერთად ჩვენს ლატვიელ მეტოქეებზეც გავესაუბრეთ...

— გასული სეზონით მხოლოდ ნაწილობრივ ვარ კმაყოფილი. თავიდან უიღბლობა დამებედა — სლოვენიურ „ოლიმპიაში" ვირიცხებოდი, მაგრამ ამ გუნდში ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი და მეც სხვაგან ვცადე ბედი. ჯერ ხორვატიულ „დუბროვნიკში" ვიყავი, მერე „ციბონაში", მაგრამ რიგი მიზეზების გამო ვერც ერთ ამ გუნდში ვერ ვითამაშე. სავიზო პრობლემები, საკონტრაქტო პირობები — ეს და სხვა არაერთი წინაღობა შემექმნა, თუმც ბოლოს ლატვიური ასკ-ს ვარიანტი გამოჩნდა და გუნდშიც ჩავჯექი.

— კმაყოფილი ხარ ასკ-ში თამაშით?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ძირითადში ვიყავი და მოედანზე 20-30 წუთს ვატარებდი, ხანდახან შეცვლელადაც მითამაშია და სტატისტიკაც კარგი მქონდა.

— შენ ასკ-ის იუნიორებში იყავი. ძირითადში გადასვლის შანსი არ გქონდა?

— იუნიორებში ვიყავი, მაგრამ ის დიდი გუნდისგან დამოუკიდებელი იყო. საქმე ისაა, რომ ლატვიაში ახალგაზრდული ჩემპიონატი დამოუკიდებლად არ ტარდება. უმაღლესი ლიგის ქვემოთ კადეტთა პირველობა იმართება. ასკ-ს იუნიორთა გუნდი ძირითადთან ერთად უმაღლეს ლიგაში თამაშობდა და ჩვენს შორის დიდი დაპირისპირებაც იყო. პირველ ეტაპზე ჩვენ საუკეთესო რვა გუნდში მოვხვდით და მეორე ეტაპზეც გავედით. მერე ის 4 გუნდიც შემოგვიერთდა, რომლებიც ევროტურნირზე თამაშობდნენ და ოთხეულში ველარ გავაღწიეთ. სწორედ ასკ-სთან გვქონდა გადამწყვეტი შეხვედრა, რომელიც დაძაბულ ბრძოლაში 2 ქულით წავაგეთ და პლეი ოფს გამოვეთხოვეთ.

— ახლა რას გეგმავ, კარიერას სად გააგრძელებ?

— ასკ-ის იუნიორთა გუნდი დაიშალა, მის ნაცვლად უმაღლეს ლიგაში რიგის ვეფ-ი ითამაშებს, რომელიც ასკ-მ იყიდა. ლატვიელები ვეფ-ში მიწვევას მპირდებიან, მაგრამ ჯერ არ ვიცი, როგორ იქნება. ჩემი მენეჯერი აქტიურადაა დაკავებული ჩემი ტრანსფერით და ვნახოთ, რომელ გუნდს გამომინახავს. მინდა, რომ ახალგაზრდულ ევროჩემპიონატზე ვითამაშო და მერე ალბათ უფრო მეტი ვარიანტი გამომიჩნდება.

— ახალგაზრდულ ნაკრებს ჯგუფში ლატვია ჰყავს...

— ამ ნაკრების რამდენიმე მოთამაშე ჩემი გუნდელია, რომლებიც კარგი მოთამაშეები კი არიან, მაგრამ არც მთლად ისეთები, რომ მათთან შანსი არ გვქონდეს. ვფიქრობ, ლატვიის ნაკრები ჩვენზე ძლიერი არაფრით არ არის. იგივეს ვიტყვი ბულგარეთზეც. ჯგუფში მესამე მეტოქედ კი იტალია გვყავს, რომელთან ბრძოლაც აგრეთვე შეიძლება. ასე რომ, ევროპის ჩემპიონატზე უიმედოდ არ მივდივართ და თუ მოვინდომებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, ჯგუფიდანაც გავალთ.

**ირაკლი პერტაია**



ეროვნული ბიბლიოთეკა




## სან ანტონიო 4:0 კლივლენდი

14 ივნისი. კლივლენდი. 20 562 მაყურებელი



# წმინდა ანტონიო მეოთხე ცაზე

## მეფე ლებრონი ჯერ ისევ უფლისწულია

### კლივლენდი 82:83 სან ანტონიო

*20:19 14:20 18:21 30:23*

კლივლენდი: გიბსონი (10), პავლოვიჩი (3), ჯეიმსი (24 ქულა, 10 პასი, 6 მოხსნა), გუდენი (11 ქულა, 11 მოხსნა), ილგაუსკასი (8 ქულა, 13 მოხსნა); ჯონსი (9), ვარეჟაო (8), მარშალი (5), სნოუ
სან ანტონიო: პარკერი (24), ფინლი (4), ბოუენი (2), დანკანი (12 ქულა, 15 მოხსნა); ობერტო (7), ჯინობილი (27), ელსონი (4), ვონი (2), პორი (1), ბერი

„ეს შეგრძნება არასდროს ძველდება, ყველაფერი რა დიდებულია! რა თამაში იყო, ან რა ბიჭები ვართ!" — ტიმ დანკანს აღფრთოვანებისგან და ბედნიერებისგან კლივლენდში ცეკვა არ დაუწყია, მაგრამ ისიც და მისიანებიც სიხარულის მეცხრე თუ არა მეოთხე ცაზე მაინც იყვნენ. ეს მეოთხეა, „სან ანტონიო სფურზი" მეოთხედ გახდა ჩემპიონი ბოლო 9 წელიწადში. 1999, 2003, 2005 და 2007 წლებში დანკანმა და მისმა რაზმმა მეტოქეებისგან ქვა-ქვაზე არ დატოვეს. ალბათ დამთხვევა თუა: „დეზები" ყოველ მეორე წელს იგებენ პლეი ოფს, მხოლოდ 2001 წელი „ჩააგდეს". ამ გამარჯვებით მათ მყარი მეოთხე ადგილი დაიკავეს ჩემპიონთა რბოლაში 16-გზის გამარჯვებული „ბოსტონ სელტიქსის", 14-გზის „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" და 6-გზის „ჩიკაგო ბულზის" ზურგსუკან.

ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდმა" საერთოდ ვერ შეუშალა ხელი სან ანტონიოს", ყბადაღებული „პრესტიჟის" გამარჯვებაც კი ვერ აართვა, მხოლოდ საპატიო ესკორტივით მიაცილა მეოთხე ტიტულამდე, მერე კი თავისივე დარბაზში საკუთარ იმედგაცრუებულ გულშემატკივარს შეატოვა. „არ მინდა აქ ყოფნა და ამ ყველაფრის ყურება" — ლებრონ ჯეიმსი გადაღლილი და გასავათებული ჩანდა, მით უფრო, რომ დილით გამთენიისას გელფრენდმა მეორე შვილი აჩუქა. მისთვის ეს ფინალი ალბათ უდიდეს იმედგაცრუებად დარჩება. ლებრონს დღესაც კი ეძახიან „მეფე-ჯეიმსს", მაგრამ ვინაა ნამდვილი მეფე ეს ამ ფინალურ სერიაშიც გამოჩნდა.

სერიის დასკვნითი შეხვედრა ბევრით არ განსხვავდებოდა წინასგან. მასპინძელი „კლივლენდი" ცდილობდა დალაგებულად თამაშს, „სან ანტონიო" კი თამაშობდა, მიზანმიმართულად მიიბრძოდა და როცა სჭირდებოდა, მაშინ უგდებდა „კავალერიას" ბურთებს. ასე მაგალითად: ბოლო მეოთხედის დასაწყისში დონიელ მარშალმა ზედიზედ 5 ქულა გააკეთა, შემდეგ ლებრონმა ოთხი გაჩარხა და „კლივლენდმა" 5-წუთიანი მონაკვეთი 11:0 მოიგო, რისი წყალობითაც სერიის ოთხივე თამაშში მეორე ტაიმში პირველად დაწინაურდა — 63:60. მაგრამ შემდეგ „სან ანტონიომ" სრული დატვირთვით აამუშავა მანქანა და „კლივლენდსაც" სათამაშო უპირატესობიდან არაფერი შერჩა. ჯერ ტიმ დანკანმა მოიხვეჭა 4 ქულა, შემდეგ კი „სფურზის" არგენტინელი ბიჭები აფუსფუსდნენ — ცენტრმა ფაბრიციო ობერტომ ერთ შეტევაში 3 ქულა გაახერხა, შემდეგ ჯინობილიმ მთელი გუნდი მიიზიდა და ფარქვეშ ობერტო იპოვა, მერე კი თავადაც ჩააგდო ორიანი და „სან ანტონიო" 76:69 წასწია წინ დამთავრებამდე წუთზე ოდნათ მეტით ადრე. ყველასთვის დღესავით ნათელი გახდა, რომ სტუმრები ამ შეხვედრასაც მოიგებდნენ და „კლივლენდი" თავის 37-წლიანი ისტორიის პირველ ფინალს გაუმარჯვებლად, 0:4 ანგარიშით დაასრულებდა. მაგრამ ლებრონმა სამიანი ჩააგდო, დეიმონ ჯონსმა კი ერთი სამიანი და სამი ერთიანი (საჯარიმო), ხოლო კლილენდელთა ქულებს ბოლო წამებზე „სან ანტონიო" ჯინობილის საჯარიმოებით პასუხობდა.

ჯინობილიმ ბოლო მეოთხედში 13 ქულა გაახერხა, სულ კი 27 მოინაგრა, მაგრამ ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ არც ის და არც ტიმ დანკანი არ დასახელებულან. ეს პრესტიჟული ჯილდო „სფურზის" ფრანგ გამთამაშებელ ტონი პარკერს შეხვდა, რაკილა მან „სან ანტონიოს" სხვა ვარსკვლავებზე უფრო სტაბილურად ჩაატარა ოთხივე თამაში და საშუალოდ ყველაზე მეტი, 24,3 ქულა აკეთა (დანკანი 18,3 ქულა, ჯინობილი 17,7 ქულა). ამით ის გახდა პირველი ევროპელი, რომელმაც ფინალის უძვირფასესი მოთამაშის ჯილდო ირგუნა. სიზმარში ვარ და გაღვიძება არ მინდაო, ამბობდა წელზე ფრანგულ დროშამოხვეული პარკერი.

წინა სამი ჩემპიონობისას ეს პრიზი ტიმ დანკანს შეხვდა და ახლაც ის რომ დაესახელებინათ ფინალის ოფიციალურ გმირად, ამ პრიზების „კოლექციონერთა" შორის ექვსგზის უძვირფასესი მაიკლ ჯორდანის ზურგსუკან მეორე საპატიო ადგილს დაიჭერდა. სამი ტიტულით კი ის 80-იანი წლების ლეიკერსელ ლეგენდა მეჯიქ ჯონსონს და 2000-იანების ასევე „ლეიკერსის" სუპერცენტრ შაკილ ონილს უტოლდება.

**კოტე ყორშია**



ფრანგი ტონი პარკერი და არგენტინელი მანუ ჯინობილი ეროვნული დროშებით

### პლეი ოფების ფინალების ყველა MVP

| | |
|---|---|
| 1969 | ჯერი ვესტი (ლეიკერსი) |
| 1970 | ვილის რიდი (ნიუ იორკი) |
| 1971 | ქარიმ აბდულ ჯაბარი (მილუოკი) |
| 1972 | უილტ ჩემბერლენი (ლეიკერსი) |
| 1973 | ვილის რიდი (ნიუ იორკი) |
| 1974 | ჯონ ჰავლიჩეკი (ბოსტონი) |
| 1975 | რიკ ბერი (გოლდენ სტეიტი) |
| 1976 | ჯო ჯო ვაიტი (ბოსტონი) |
| 1977 | ბილ უოლტონი (პორტლენდი) |
| 1978 | ვეს ანსველდი (ვაშინგტონი) |
| 1979 | დენის ჯონსონი (სიეტლი) |
| 1980 | „მეჯიკ" ჯონსონი (ლეიკერსი) |
| 1981 | სედრიკ მაქსველი (ბოსტონი) |
| 1982 | „მეჯიკ" ჯონსონი (ლეიკერსი) |
| 1983 | მოზეს მელოუნი (ფილადელფია) |
| 1984 | ლარი ბერდი (ბოსტონი) |
| 1985 | ქარიმ აბდულ ჯაბარი (ლეიკერსი) |
| 1986 | ლარი ბერდი (ბოსტონი) |
| 1987 | „მეჯიკ" ჯონსონი (ლეიკერსი) |
| 1988 | ჯეიმს უორთი (ლეიკერსი) |
| 1989 | ჯო დუმარსი (დეტროიტი) |
| 1990 | აიზეია ტომასი (დეტროიტი) |
| 1991 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1992 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1993 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1994 | ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი) |
| 1995 | ჰაკიმ ოლაჯუონი (ჰიუსტონი) |
| 1996 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1997 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1998 | მაიკლ ჯორდანი (ჩიკაგო) |
| 1999 | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| 2000 | შაკილ ონილი (ლეიკერსი) |
| 2001 | შაკილ ონილი (ლეიკერსი) |
| 2002 | შაკილ ონილი (ლეიკერსი) |
| 2003 | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| 2004 | ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი) |
| 2005 | ტიმ დანკანი (სან ანტონიო) |
| 2006 | დუეინ ვეიდი (მაიამი) |
| 2007 | ტონი პარკერი (სან ანტონიო) |

### ყველა ფინალი

| | |
|---|---|
| 1947 | ფილადელფია 4:1 ჩიკაგო |
| 1948 | ბალტიმორი 4:2 ფილადელფია |
| 1949 | ლეიკერსი 4:2 ვაშინგტონი |
| 1950 | ლეიკერსი 4:2 სირაკუზი |
| 1951 | როჩესტერი 4:3 ნიუ იორკი |
| 1952 | ლეიკერსი 4:3 ნიუ იორკი |
| 1953 | ლეიკერსი 4:1 ნიუ იორკი |
| 1954 | ლეიკერსი 4:3 სირაკუზი |
| 1955 | სირაკუზი 4:3 ფორტ ვეინი |
| 1956 | ფილადელფია 4:1 ფორტ ვეინი |
| 1857 | ბოსტონი 4:3 სენტ ლუისი |
| 1958 | სენტ ლუისი 4:2 ბოსტონი |
| 1959 | ბოსტონი 4:0 ლეიკერსი |
| 1960 | ბოსტონი 4:3 სენტ ლუისი |
| 1961 | ბოსტონი 4:1 სენტ ლუისი |
| 1962 | ბოსტონი 4:3 ლეიკერსი |
| 1963 | ბოსტონი 4:2 ლეიკერსი |
| 1964 | ბოსტონი 4:1 სან ფრანცისკო |
| 1965 | ბოსტონი 4:1 ლეიკერსი |
| 1966 | ბოსტონი 4:3 ლეიკერსი |
| 1967 | ფილადელფია 4:2 სან ფრანცისკო |
| 1968 | ბოსტონი 4:2 ლეიკერსი |
| 1969 | ბოსტონი 4:3 ლეიკერსი |
| 1970 | ნიუ იორკი 4:3 ლეიკერსი |
| 1971 | მილუოკი 4:0 ბალტიმორი |
| 1972 | ლეიკერსი 4:1 ნიუ იორკი |
| 1973 | ნიუ იორკი 4:1 ლეიკერსი |
| 1974 | ბოსტონი 4:3 მილუოკი |
| 1975 | გოლდენ სტეიტი 4:0 ვაშინგტონი |
| 1976 | ბოსტონი 4:2 ფინიქსი |
| 1977 | პორტლენდი 4:2 ფილადელფია |
| 1978 | ვაშინგტონი 4:3 სიეტლი |
| 1979 | სიეტლი 4:1 ვაშინგტონი |
| 1980 | ლეიკერსი 4:2 ფილადელფია |
| 1981 | ბოსტონი 4:2 ჰიუსტონი |
| 1982 | ლეიკერსი 4:2 ფილადელფია |
| 1983 | ფილადელფია 4:0 ლეიკერსი |
| 1984 | ბოსტონი 4:3 ლეიკერსი |
| 1985 | ლეიკერსი 4:2 ბოსტონი |
| 1986 | ბოსტონი 4:2 ჰიუსტონი |
| 1987 | ლეიკერსი 4:2 ბოსტონი |
| 1988 | ლეიკერსი 4:3 დეტროიტი |
| 1989 | დეტროიტი 4:0 ლეიკერსი |
| 1990 | დეტროიტი 4:1 პორტლენდი |
| 1991 | ჩიკაგო 4:1 ლეიკერსი |
| 1992 | ჩიკაგო 4:2 პორტლენდი |
| 1993 | ჩიკაგო 4:2 ფინიქსი |
| 1994 | ჰიუსტონი 4:3 ნიუ იორკი |
| 1995 | ჰიუსტონი 4:0 ორლანდო |
| 1996 | ჩიკაგო 4:2 სიეტლი |
| 1997 | ჩიკაგო 4:2 იუტა |
| 1998 | ჩიკაგო 4:2 იუტა |
| 1999 | სან ანტონიო 4:1 ნიუ იორკი |
| 2000 | ლეიკერსი 4:2 ინდიანა |
| 2001 | ლეიკერსი 4:1 ფილადელფია |
| 2002 | ლეიკერსი 4:0 ნიუ ჯერსი |
| 2003 | სან ანტონიო 4:2 ნიუ ჯერსი |
| 2004 | დეტროიტი 4:1 ლეიკერსი |
| 2005 | სან ანტონიო 4:3 დეტროიტი |
| 2006 | მაიამი 4:2 დალასი |
| 2007 | სან ანტონიო 4:0 კლივლენდი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

# სხირელის თავისუფალი არჩევანი



**თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შეკრებაზეა. მეათე დღეა, ნუგზარ სხირელის გუნდი გორში ვარჯიშობს, ერთ კვირაში სერბეთის მთავარქალაქ ბელგრადში გაემგზავრება და 26-27-ში ხალიჩაზეც გავა. ნაკრების თავკაცმა გუშინ საევროპო შემადგენლობაც გაგვიმხილა**

— ბელგრადში წამსვლელი გუნდის სრული სია ამ დღეებში დაზუსტდა და უკვე ბიჭებსაც გამოვუცხადე. არჩევანი საუკეთესოებზე გაკეთდა.

— ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ამბობდით, რომ ევროშემადგენლობა საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდებოდა...

— ასეც მოხდა. გამონაკლისი მხოლოდ 50 კილოგრამ წონითი კატეგორიაა. ლევან მეტრეველის გარდა ყველა საქართველოს ჩემპიონია.

— საბოლოო გადაწყვეტილება როდის მიიღეთ?

— რამდენიმე დღის წინ საკონტროლო სპარინგ-შეხვედრები ჩავატარეთ და შედარებით თანაბარშანსიან კანდიდატებს შორის უკეთესები შევარჩიეთ.

— ბელგრადში წასაყვანი შეგირდების მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?

— საპრეტენზიო ნამდვილად არ მაქვს. ბოლო ტურნირებით და მოსამზადებელი შეკრებებით თუ ვიმსჯელებთ, ყველაფერი რიგზეა. ამჯერად ვარიანში 38-კაციანი შემადგენლობით ვემზადებით, მშვენიერ საცხოვრებელ და სავარჯიშო პირობებში. საერთო განწყობაც ნორმალურია. ასე რომ, იმედიანად ვართ.

— თუ საიდუმლო არ არის, კონკრეტულად ვისი გეიმედებათ და რამდენ მედალს გეგმავთ?

— სხვებზე მეტი შანსი წესით, გიორგი მაყიშვილს (60კგ) და დავით ნიკურაძეს (120კგ) უნდა ჰქონდეთ. შედარებით გამოცდილებიც არიან და შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე აღებული ვერცხლი და ბრინჯაოც უმაგრებთ ზურგს, მაგრამ წინასწარ შანსებზე საუბარი მაინც გაუმართლებელია. მით უმეტეს, ევროპის ჩემპიონატის დონის ტურნირებზე.

**ოთარ გაღლაძელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | |
|---|---|
| 50კგ | ლევან მეტრეველი |
| 55 კგ | მურთაზ კვესაძე |
| 60 კგ | გიორგი მაყიშვილი |
| 66კგ | ნიკოლოზ რეხვიაშვილი |
| 74კგ | გოჩა ლომთათიძე |
| 84კგ | ბექა ჭელიძე |
| 96კგ | ლევან ჩიქოვანი |
| 120კგ | გიორგი ნიკურაძე |

ცურვა

# ფელპსი ამერიკას ერთგულებს



**თანამედროვეობის** უძლიერესმა წყალჯომარდმა, ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა ევროპაში საცურაოდ ჩამოფრენა გადათქვა. ოლიმპიადის და მსოფლიოს მულტიოქროსმედალოსანი „მარე ნოსტრუმის" სერიაზე ჩამოსვლას არც გეგმავდა, უბრალოდ, ორგანიზატორები დიდხანს სთხოვდნენ და მისი მონაწილეობის იმედიც ბოლო დრომდე ჰქონდათ. ბოლოს კი ამერიკელმა ბებერ კონტინენტზე ოფიციალური უარი შემოთვალა — აქაოდა, თვენთვის ვერ მოვიცლი, ჩვენსა, შტატებში უნდა ვივარჯიშოო.

„მარე ნოსტრუმის" სერია დიდებულ ტურნირებს მოიცავს და იმედი მაქვს, შემდეგ ჯერზე მაიკლი უარს აღარ იტყვის მასში მონაწილეობაზე, მაგრამ ახლა იმ დასკვნამდე მივედით, რომ უმჯობესია აქ დარჩეს და ვარჯიშის ის რიტმი შეინარჩუნოს, რომელიც კარგა ხნის წინ შევიმუშავეთ. ის სანტა კლარას საერთაშორისო ტურნირისა და შტატების შიდა ჩემპიონატისთვის მოემზადება — ამბობს ფელპსის პირადი მწვრთნელი ბობ ბოუმანი.

ისე, ფელპსმა წლეულს სულ რომ აღარსად იცუროს, ეს სეზონი მაინც ძალიან წარმატებულად ჩაეთვლება. ორიოდ თვის წინ მელბურნში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მან შვიდი ოქრო მოიგო და დუნია აალაპარაკ-ააკამათა — ვინძლო, ეს ბიჭი ცურვაში ყველა დროის უდიადესი ვინმეც იყოსო.

# ჰეკეტმა რომაული ტესტი ჩააბარა

**მას შემდეგ,** რაც შარშან 23 წლის ასაკში ცურვას თავი დაანება ავსტრალიელთა უტიტულოვანესმა ვარსკვლავმა იან ტორპმა, ოზ კაცთა ნაკრებს გვარიანად გაუჭირდა ამერიკელთა ვარსკვლავებით მოოჭვილ გუნდთან გაჯიბრება, ასე რომ კუნძულ-კონტინენტელები ნებისმიერ ტურნირზე ნებისმიერ ოქროს და მის მომპოვებელს აფასებენ. მით უფრო უხარიათ, თუ ძველი მოცურავე შეეხიდება მათ ახალგაზრდულ გუნდს და თავისი გამარჯვებით გაამხნევებს ჯველ თანაგუნდელებს.

ამჟამად ევროპაში ტურნეზე მყოფ ავსტრალიის ნაკრებში, რომში გამართულ ტურნირზე გაიბრწყინა ოზთა ძველმა ვარსკვლავმა გრანტ ჰეკეტმა, ვისაც 2000 წლის სიდნეის და 2004 წლის ათენის ოლიმპიადებზე მიჯრით მოუგია 1 500 მეტრზე თავისუფალი გაცურვა. ბოლო ხანებში ჰეკეტი ტრავმებს, ავადმყოფობებს და ყველაზე მეტად მოტივაციის ნაკლებობას გაეწვალებინა, მაგრამ ახლა ჯერ კიდევ სამშობლოდან ევროპაში ჩამოფრენამდე თქვა, თავს კარგად ვგრძნობ და ვეცდები რამე მაინც მოვიგოო. მართლაც, 1 500 მეტრზე ცურვით მას თავი არ გადაუღლია, 400 თავისუფალ მეტრზე ცურვა ირჩია და 3.49,41 შედეგით იმარჯვა. თავისთავად, ეს არაა მისი პიკი, 400 მეტრი მას გაცილებით ნაკლებ დროშიც დაუფარავს, მაგრამ ჰეკეტი თავის თავს ამისთვისაც მადლობას ეუბნება — „ეს ის შედეგი არაა, რომლის მიღწევაც კმაყოფილებას მოგგვრის, მაგრამ მთავარია ფორმა აღვიდგინო და თავს ჩაძირვის საშუალება არ მივცე მომავალ წლამდე. იმედი მაქვს, 2008-ში პეკინის ოლიმპიადაზე უკეთესად ვიცურავებ 400 მეტრსაც და 1 500-შიც მივუახლოვდები ჩემს ძველ შედეგებს".

ჰეკეტს მხარ-მკლავი აუბეს და ავსტრალიელებმა გუნდის ყულაბაში ჩააჩხრიალეს რომის აუზიდან ამოღებული კიდევ სამი ოქროს მედალი.

რომში გამოჩნდა ერთი საინტერესო სპორტსმენიც — 40 წლის ესპანელმა დანა ტორესმა ექვსწლიანი შესვენების შემდეგ გადაწყვიტა შეილისტოლა მოცურავეებთან გაჯიბრება და ეს საკმაოდ წარმატებითაც მოახერხა — 50-მეტრიან თავისუფალ სპრინტში ის მხოლოდ შვედ ტერეზა ალსამარს ჩამორჩა.

**კოტე ყორშია**

ველორბოლა



# მოროს მეორე სოლო

**AG2R-ის** ფრანგი მრბოლის კრისტოფ მოროს გამარჯვებით დასრულდა „კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს" მე-4, ლეგენდარული ვანტუს მთის ეტაპი.

36 წლის ველოსიპედისტმა, ვინც ლორან ჟალაბერისა და რიშარ ვირანკის წასვლის შემდეგ საფრანგეთის №1 მრბოლია, მიმდინარე „დოფინი ლიბერაზე" უკვე მეორე ეტაპი მოიგო და საერთო ჩათვლაშიც მეორე ადგილზე აინაცვლა.

197-კილომეტრიანი გზის უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი, რალა თქმა უნდა, ვანტუს ჯოჯოხეთური აღმართი იყო და ამ აღმართში მორომ შანსი არ დაუტოვა კონკურენტებს — მეორე ადგილზე გასული პოლონელი სილვესტრ შმიდი ფრანგს წუთითა და 8 წამით ჩამორჩა.

მოსალოდნელი იყო და ლიდერის ყვითელი მაისურის მფლობელ ყაზახს, წინა დღის ინდივიდუალური რბოლის მამგებ ალექსანდრ ვინოკუროვს თავი არ მოუკლავს და მოროს 7 წუთითა და 21 წამით ჩამორჩა. იგივე ითქმის მოახლოებული „ტურ დე ფრანსის" კიდევ ერთ ფავორიტზე, ესპანელ ალეხანდრო ვალვერდეზე, ვინც პელოტონის მოწინავე ჯგუფს ვანტუს აღმართის დასაწყისშივე ჩამორჩა.

წინა დღეს ვინოკუროვმა თქვა, „დოფინო ლიბერეს" მოგება ჩემს გეგმებში არ შედის და ამიტომაც, ყველაფერს ვილონებ, რათა აქ ჩემმა თანაგუნდელმა ანდრეი კაშეჩკინმა იპირველოსო. „ასტანას" მრბოლთა გეგმები ჯერჯერობით სრულდება — ვანტუს მთაზე კაშეჩკინმა მოროსთან 2 წუთი და 4 წამი კი წააგო, მაგრამ გენერალურ კლასიფიკაციაში ვინოკუროვის ადგილი, სწორედ მან დაიკავა.

ერთი კია — „ასტანას" მეორე ნომერი მხოლოდ 14 წამს უგებს მოროს და იქვე შორიახლოს, შესაბამისად, 23, 25 და 26 წამის ჩამორჩენით, ამერიკელი დევიდ ზაბრისკი, რუსი დენის მენშოვი და ავსტრალიელი კედალ ევანსი არიან. „დოფინი ლიბერეს" შარშანდელი გამარჯვებული, ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი მე-6 ადგილზეა და კაშეჩკინთან 56 წამს აგებს.

# ტური ყველივითაა

## ვის ფრანგული მოსწონს, ვის შვეიცარიული



დამიანო კუნეგო

**თანამედროვეობის** ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი მრბოლი, 25 წლის იტალიელი დამიანო კუნეგო, სავარაუდოდ, არ მიიღებს მონაწილეობას წლევანდელ „ტურ დე ფრანსში".

სამი წლის წინ კუნეგომ სენსაციურ წარმატებას მიაღწია — 22 წლის ასაკში „ჯირო დიტალია" მოიგო და ეგრევე შერაცხეს მომავლის მრბოლად. შარშანდელ „ტურზე" „ლამპრეს" მრბოლმა საუკეთესო ახალგაზრდისთვის განკუთვნილი პრიზი ირგუნა და წლევანდელ „ჯიროზე" კი მეხუთე ადგილი დაიკავა.

როგორც „როიტერი" იუწყება, კუნეგო აპირებს, გამოვიდეს „შვეიცარიის ტურში", რომელიც წინ უსწრებს „ტურ დე ფრანსს". „ჯიროსა" და შვეიცარიული რბოლის შემდეგ ფრანგულ სუპერრბოლაში მიყოლებით გამოსვლა მართლაც ძნელი საქმეა, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ დამიანომ „შვეიცარიის ტური" ფრანგულის წინ, უბრალოდ, მოსათელად გამოიყენოს. თუმცა, მოვლენების ასეთი განვითარება ძნელი წარმოსადგენია და უფრო იმის თქმა შეგვიძლია, რომ წლევანდელი „ტურ დე ფრანსი" დამიანო კუნეგოს გარეშე ჩაივლის.

# თუ წავაგო, ნუ მიტირებთ დანანებით

## რაფაელ ნადალი ბალახზე თამაშით სიამოვნებას იღებს



AFP

### კაცები

„ქუინს ქლაბი". ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 680 250 ევრო

**მესამე წრე**

**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 6:3; **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (5, ხორვატია) 7:6 6:3; **არნო კლემანი** (14, საფრანგეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (4, სერბეთი) 2:6 6:3 6:4; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 7:6; **მარინ ჩილიჩი** (ხორვატია) — ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი) 4:6 6:3 6:2; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — ალექს ბოგდანოვიჩი (ბრიტანეთი) 4:6 7:6 6:4

### კაცები

ჰალე. გერმანია. ბალახი. საპრიზო 680 250 ევრო

**მეოთხედფინალი**

**იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:4 (უარი); **ტომაშ ბერდიხი** (4, ჩეხეთი) — მიხაილ იუჟნი (7, რუსეთი) უარი; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ) 7:5 6:1

### ქალები

ბირმინგემი. ბრიტანეთი. ბალახი საპრიზო 200 000 $

**მესამე წრე**

**ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — აიუმი მურიტა (იაპონია) 6:2 6:0; **მარიონ ბარტოლი** (5, საფრანგეთი) — ანჟელიკ კერბერი (გერმანია) 6:0 6:0; **მარა სანტანჯელო** (8, იტალია) — იულია ვაკულენკო (9, უკრაინა) 1:3 (უარი); **ნა ლი** (4, ჩინეთი) — იულიანა ფედაკი (უკრაინა) 6:4 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — მარია კირილენკო (16, რუსეთი) 3:6 6:3 7:5

### ქალები

ბირმინგემი. ბრიტანეთი. ბალახი. საპრიზო 145 000 $

**მეოთხედფინალი**

**მეგან შონესი** (6, აშშ) — აგნეს სავაი (უნგრეთი) 7:6 6:4; **ფლავია პენეტა** (8, იტალია) — ემილი ლუა (3, საფრანგეთი) 6:3 6:3; **ედინა გალოვიცი** (რუმინეთი) — კაია კანეპი (4, ესტონეთი) 6:4 7:5; **ვირჟინი რაზანო** (7, საფრანგეთი) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:1 6:4

**ბრძოლება** წინასაიუიმბლდონო მზადება — ჩოგბურთელები ცდილობენ, ბალახს მაქსიმალურად შეეჩვიონ, რათა წლის მესამე სლემტურნირს მეტ-ნაკლებად მომზადებულნი შეხვდნენ. მართალია, ეს საკმაოდ ძნელია და იმ ორ კვირაში, რაც „როლან გაროსსა" და უიმბლდონს აშორებს, ახალ საფართან ხეირიანად შეგუება ფანტასტიკის სფერო უფროა, მაგრამ დიდი თუ პატარა ჩოგნის მქნეველნი ცდილობენ, მდელოზე თამაშის მცირე პრაქტიკა მაინც მიიღონ.

მიმდინარე კვირის ტურნირებიდან უმთავრესი, როგორც საპრიზო ფონდით, ისე შემადგენლობით, ლონდონში, სამეფო კლუბის კორტებზე მიმდინარე პაექრობებია და იქაური ამბებით დავიწყოთ.

აღარ ხუმრობს რაფაელ ნადალი, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო კარგად გრძნობს თავს ბალახზე. ამის წარმოდგენა ჯერ კიდევ შარშან ამ დროს საოცრება იყო, მაგრამ ესპანელი ჯადოსნი ამტკიცებს, რომ მისი მხოლოდ თიხნარის სპეციალისტად შერაცხვა არც ისე სამართლიანია. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის დედაქალაქში რაფა თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს. მალიორკელმა ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო უპრობლემოდ, თან ამჯერად ბალახზე თამაშში თავისზე გაცილებით გამოცდილ მაქს მირნის გამოუყვანა წირვა და წარმატება ასე ახსნა:

„მგონი, თანდათან ვეჩვევი ბალახს. მართალია, ამ საფარზე სპეციალისტად ვერავინ მიმიჩნევს, მაგრამ ერთი უპირატესობა მაინც მაქვს — ჩემგან არავინ მოელის სასწაულებს და პირველ წრეშიც რომ წავაგო, ალბათ სენსაციასაც არ დაარქმევენ და ჟურნალისტებიც სულს არ ამომხდიან გაუთავებელი კითხვებით, რატომ დამარცხდიო. მეც ზეწოლის გარეშე, ჩემი სიამოვნებისთვის ვთამაშობ".

ესპანელისგან განსხვავებით, მეოთხედფინალში გასვლა გაუჭირდა ბალახზე ჩოგნაობის დიდად მოყვარულ ენდი როდიკს. იანკი-ბოის მასპინძელმა ალექს ბოგდანოვიჩმა ნამდვილი ჯახი გაუმართა და პირველი სეტის ართმევაც აკადრა. ამან ამერიკელი საკმაოდ კი გაახელა, მაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა კარგა ხანს ვერ მოახერხა, თუმცა მეორე პარტიაში ტაიბრეიკზე იხეირა... მერე კი ყველაფერი კლასის საქმეთა გახლდათ.

ცოდვის ტრიალი იყო ექსიუგოსლავიურ ბანაკებში, რადგანაც ტურნირს სერბულ-ხორვატიული იმედები დაემშვიდობნენ. „როლან გაროსის" ნახევარფინალისტ ნოვაკ ჯოკოვიჩს ამჯერად აღარ გაუმართლა — ის ხომ აქამდე მხოლოდ ამერიკელი კენდრიკის „დახმარებით" გაძვრა. მაგრამ ახლა არნო კლემანი თუ გადაურჩა დაზიანებას, თავად სერბი ვერ გადაურჩა ფრანგს. ივან ლიუბიჩიჩი კი წლეულს თავის იშტაზე რომ ვერ არის, არაერთხელ აღგვინიშნავს და აგერ, ნიკოლა მაჰუსაც ვერ მოერია.

ტურნირის კიდევ ერთ ფავორიტად მიჩნეული ლეიტონ ჰიუიტი კი თითქმის უცნობმა ჟო-ვილფრიდ ცონგამ შეიწირა და მოქმედ ჩემპიონს დაგეგმილზე ადრე გამოუწერა დასვენების ბილეთი. თუმცა ამ წარმატებით ფრთაშესხმული ფრანგი ახალგაზრდა ხორვატმა მარინ ჩილიჩმა მალევე დაანარცხა მიწას.

როჯერ ფედერერის არყოფნაში კი გერმანულ ჰალეში ყველაფერი ისე საინტერესო ვერ არის, როგორც ამას იქაური მაყურებელი ისურვებდა. ტურნირს აქა-იქ მეტ-ნაკლებად ხმაურიანი სენსაციები თუ გამოაღვიძებს ხოლმე — ერთი ასეთი კი სულაც გუშინ მოხდა, როცა მესამე ნომერი ჯეიმს ბლეიკი, ადგილობრივთა გასახარად, ფილიპ კოლშრაიბერმა დაიჭირინა და თან ორ სეტში ჩაეტია.

ჰალეში საინტერესო კიდევ ის მოხდა, რომ იქ რუსებს ამოაკვეთინეს ფეხი. ნიკოლაი დავიდენკოს მეორე წრეშივე მოუღეს ბოლო, ამ რაუნდის დამძლევ მიხაილ იუჟნის კი წელი ასტკივდა, რის გამოც დამდეგი სლემტურნირის წინ გარისკვა აღარ ინდომა და ტომაშ ბერდიხთან თამაშზე საერთოდ უარი თქვა.

ქალები კი ბირმინგემსა და ბარსელონაში არიან თავმოყრილნი. კატალონიაში პირველ-მეორე ნომრები — ფრანჩესკა შიავონე და მარტინა მიულერი პირველივე წრეში მოიშორეს თავიდან, რის შემდეგაც ტურნირს შემორჩენილთაგან წარმატების საუკეთესო შანსი მეგან შონესის დარჩა.

აი, ბირმინგემში კი ბობოლები ჯერაც აგრძელებენ ჩოგნის ქნევას. ტურნირის მეორე ნომერი ელენა იანკოვიჩი უკვე მეოთხედფინალშია, რისთვისაც სერბს მარია კირილენკოს გამალებული წინააღმდეგობის დაძლევა დასჭირდა. აი, მთავარ ფავორიტ მარია შარაპოვას კი საუკეთესო რვაში მოსახვედრი ბილეთი ჯერაც არ დაუმსახურებია — თუმცა საეჭვოა, ტამირა პაშეკმა პრობლემები შეუქმნას რუს პრიმას.

**კახა ლომაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

Formula 1

მეშვიდე ეტაპი — აშშ-ის დიდი პრიზი

## მოტორ სპიდვეი

*ინდიანაპოლისი, 17 ივნისი*



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------- 4.192 კმ

**რბოლის დისტანცია** ------------------------- 73 წრე — 306.016 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 21 საათზე*

**შარშან:** 1 მ.შუმახერი (ფერარი); 2 მასა (ფერარი); 3 ფიზიკელა (რენო); 4 ტრული (ტოიოტა); 5 ალონსო (რენო); 6 ბარიკელო (ჰონდა); 7 კულთარდი (რედ ბული); 8 ლიუცი (ტორო როსო)

**წრის რეკორდი:** 2004 — ბარიკელო (ფერარი) 1:10.399 (214,4 კმ/სთ)

# კუბიცას ინდიანაში პოლისი არ მისცეს

**საუკუნის** წინათ აგებულ, მთელ დუნიაზე უძველეს და უდიდეს, ინდიანაპოლისის ავტოდრომზე ხვალ მხოლოდ მერვედ გაიქროლებენ „სამეფო მრბოლები", თუმცა აშშ-ის საპირველფორმულო გრან პრის ამ ქვეყნის სხვა ქალაქები 1959 წლიდან მასპინძლობენ.

ლეგენდარული „მოტორ პიდვეი" ოვალური, ოთხი ნახევარმოსახვევიანი ტრეკია და რადგან მეფორმულეები ამგვარ უმარტივეს ტრასებზე არ დაჯირითობენ, ოვალის შიდა ტერიტორიაზე დამატებით მოეწყო 2,5 კილომეტრი სიგრძის მიხვეულ-მოხვეული უბანი და ამდენად, კომბინირებული წრე გამოვიდა — ათმოსახვევიანი ნელი „სტადიონით" და ოვალის ერთმილიანი, ზესწრაფი ნაწილით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, რბოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძრავის სიმძლავრეს და საიმედოობას.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს „ფერარის" ტრასაა, შვიდი რბოლიდან „წითლებმა" ექვსი მოიგეს — ხუთი მიხაელ შუმახერმა, ერთიც რუბენს ბარიკელომ. იქ ოთხჯერ გასვლის მიუხედავად, ერთხელაც ვერ შედგა პოდიუმზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო, თუმცა გასულ კვირას მონრეალში ჩაფლავების (მეშვიდე ადგილი) შემდეგ მაინც იმედიანადაა.

ისე, ბრიტანელი ბუქმეიკერები ხვალინდელ რბოლაში გამარჯვებას სწორედ მას უწინასწარმეტყველებენ, მიუხედავად იმისა, რომ ნანდო გენერალურ კლასიფიკაციაში რვა ქულით ჩამორჩება ლიდერ-თანამაკლარენელ ლუის ჰემილტონს.

კანადაში ლუისის დებიუტანტისთვის გასაკვირი დამაჯერებლობით გამარჯვების შემდეგ ფერნანდომ დაიწუწუნა, „მაკლარენში" მისვლის პირველივე დღიდან ვგრძნობდი, რომ ეს ინგლისური გუნდი ჩემს ინგლისელ პარტნიორ ჰემილტონს უფრ მეტ ყურადღებას უთმობს და ამდენად, თავს კომფორტულად ვერ ვგრძნობო.

ცხადია, ბრიტანულმა მედიამ ეს სიტყვები ლამის საჯინიბოში შიდაომის მანიშნებლად აღიქვა და მწვავე რეპლიკებიც არ დაიშურა. ასე რომ, ალონსოს თითქმის საბოდიშოდ გაუხდა საქმე, მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად კი „მაკლარენის" ბოს რონ დენისს საქვეყნოდ კიდევ ერთხელ მოუხდა იმის დადასტურება, რომ მის გუნდში არც ერთ პილოტს არ აქვს პრიორიტეტი, ორივენი ერთნაირ პირობებში არიან და გამარჯვების თანაბარი შანსები აქვთო.

მონრეალში საშინელი ავარიისას დაშავებული „BMW-ზაუბერის" პოლონელი მძღოლი რობერტ კუბიცა მეორე დღეს კლინიკიდან კი გაწერეს და რიხითაც აცხადებდა, უკვე კარგად ვარ და ინდიანაპოლისში გამოსვლას ვაპირებო, მაგრამ ექიმებმა, რასაკვირველია, საჭესთან დაჯდომის ნება არ მისცეს, რადგან მეორე ასეთი ინციდენტი შესაძლოა ფატალურად დასრულდეს.

გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პოლონელ პილოტს გერმანელი ტესტ-მძღოლი სებასტიან ფეტელი შეცვლის.

**გია ახალაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პატარა სიდი უკვე დიდია

## კროსბიმ ლიგის მთავარი ჯილდოები ბითუმად აიღო



სიდნი კროსბი და მისი სამი ჯილდო



ნიკლას ლიდსტრომმა მეხუთედ მიიღო საუკეთესო მცველის პრიზი



მარტინ ბროდოს „ვეზინა ტროფი" ემძიმა

**ტრიუმფალური** გამოუვიდა სეზონი სიდნი კროსბის — „პიტსბურგის" ახალგამომცხვარი კაპიტნისთვის 2007 წელი წარმატებული გამოდგა როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ ფრონტზე. ჯერ იყო და, „პატარა სიდის" დიდებული თამაშით შთაგონებულმა „პინგვინებმა" ხუთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ პირველად უწიეს პლეი ოფს. კროსბის თამაშისა და მიღწევების დაფასება კი სეზონის დასრულების შემდეგ მოხდა, როცა კანადელმა ვუნდერკინდმა სამი ინდივიდუალური ჯილდო მოიპოვა.

ეს ყველაფერი გუშინ გამთენიისას ჩრდილოამერიკული ჰოკეის მექა ტორონტოში მოხდა, სადაც განვლილ სეზონში თავგამოჩენილი ხალხი შესაბამისად დააჯილდოვეს. კროსბიმ ჯერ „არტ როს ტროფი" მიიღო. ეს პრიზი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს გადაეცემა. სიდნიმ 120 ქულა მოაგროვა, რითაც ყველაზე ახალგაზრდა ჰოკეისტად იქცა, ვისაც ეს ჯილდო ოდესმე დაუსაკუთრებია. ამას კროსბიმ გუშინ კიდევ ორი პრიზი დაუმატა. პირველ რიგში „ჰარტ ტროფიზე" ვთქვათ, რომელიც ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. ეს ჯილდო ხომ რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს გადაეცემა. კროსბი, რომელმაც დიდი უპირატესობით აჯობა „ნიუ ჯერსისა" და „ვანკუვერის" მეკარეებს — შესაბამისად მარტინ ბროდოსა და რობერტო ლუონგოს — 1980 წლის შემდეგ ლიგის ყველაზე ახალგაზრდა უძვირფასესი მოთამაშეა. მაშინ კი ეს პრიზი თვით „დიადმა ვინმემ", უეინ გრეცკიმ მოიგო.

აი, შემდეგი მაჩვენებლით კი კროსბიმ თვით გრეცკისაც აჯობა — სიდი კოლეგებმაც დააფასეს და საუკეთესოდ ცნეს, რის გამოც „ლესტერ პირსონ ევარდი" გადაეცა. ეს პრიზი „დიადმა ვინმემ" „მხოლოდ" 21 წლის ასაკში (1982) დაიმსახურა.

ახლა კი სხვა ლაურეატებზეც მოგახსენებთ, რომელთა შორის რამდენიმე ნამდვილ სიურპრიზად იქცა.

საუკეთესო მეკარედ მარტინ ბროდო დასახელდა, რომელსაც შესაბამისად „ვეზინა ტროფი" გადაეცა. ბროდო წლეულს მართლაც საუკეთესო გახლდათ — თავისთვის სარეკორდო 12 შათაუატი გააზერხა და 48 თამაში მოიგო, რაც ლიგის აბსოლუტური რეკორდია.

„კოლდერ ტროფი" ანუ საუკეთესო ახალბედას ტიტული „პიტსბურგის" რუსმა ცენტრმა ევგენი მალკინმა დაიმსახურა, რომელმაც თანაგუნდელ ჯორდან სტაალს და „კოლორადოელ" პოლ შჩასტნის აჯობა. მალკინი პირველი პიტსბურგელია დიდი მარიო ლემიეს შემდეგ, ეს პრიზი რომ ერგო (კროსბიმ შარშან ვერ მოიგო ეს პრიზი, რადგანაც ალექსანდრ ოვეჩკინმა აჯობა).

წლის მწვრთნელის კატეგორიაში „ვანკუვერელმა" ალან ვინიომ იმარჯვა და „ჯეკ ადამს ტროფიც" დაიმსახურა თუმც ეს გადაწყვეტილება ბევრმა საეჭვოდ მიიჩნია, რადგანაც „კენექსის" წლევანდელი წარმატების მიზეზად ლუონგოს ფანტასტიკურ თამაშს მიიჩნევენ და არა ვინიოს „გენიას".

საუკეთესო მცველად „დეტროიტის" კაპიტანი ნიკლას ლიდსტრომი დასახელდა, რომლისთვისაც ეს უკანასკნელ ექვს წელიწადში მოგებული უკვე მეხუთე „ნორის ტროფია". შვედი პირველია „ბოსტონის" ლეგენდა რეი ბურკის შემდეგ, ეს პრიზი ხუთჯერ რომ დაისაკუთრა.

დაცვითი პლანის საუკეთესო თავდასხმელის ტიტულს, ანუ „ფრენკ ჯ. სელკე ტროფის" „კაროლინას" კაპიტანი როდ ბრინდამორი ზედიზედ მეორე წელია, იგებს.

ასევე ზედიზედ მეორე წელია, ლიგის ჯენტლმენად („ლედი ბინგ ტროფი") დეტროიტელ პაველ დაციუკს ასახელებენ.

„ბილ მასტერსონ ტროფი" (ოსტატობისა და სპორტისადმი ერთგულების) „ბოსტონის" ახალბედა ფილ კესელს გადაეცა.

ხოლო „კინგ კლენსი მემორიალ ტროფი", რაც იმ მოთამაშეს გადაეცემა, რომელიც პარტნიორებისთვის მისაბაძი მაგალითია ყინულზეც და ყინულს გარეთაც, „მონრეალის" კაპიტანმა საკუ კოივუმ დაიმსახურა.

დაბოლოს, ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებზეც ვთქვათ:

მეკარე — მარტინ ბროდო („ნიუ ჯერსი");

მცველები — ნიკლას ლიდსტრომი („დეტროიტი") და სკოტ ნიდერმაიერი („ანაჰაიმი");

თავდასხმელები — სიდნი კროსბი („პიტსბურგი"), ალექსანდრ ოვეჩკინი („ვაშინგტონი") და დენი ჰიტლი („ოტავა").

**კახა ლომაყმილი**

## NHL-ის ყველა MVP

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1924 | ფრენკ ნიგბორი (ოტავა) | 1945 | ელმერ ლიჩი (მონრეალი) | 1966 | ბობი ჰალი (ჩიკაგო) | 1987 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) |
| 1925 | ბილი ბარჩი (ჰამილტონი) | 1946 | მაქს ბენტლი (ჩიკაგო) | 1967 | სტენ მიკიტა (ჩიკაგო) | 1988 | მარიო ლემიე (პიტსბურგი) |
| 1926 | ნილს სტიუარტი (მონრეალ მარუნზი) | 1947 | მორის რიშარი (მონრეალი) | 1968 | სტენ მიკიტა (ჩიკაგო) | 1989 | უეინ გრეცკი (ლოს ანჯელესი) |
| 1927 | ჰერბ გარდნერი (მონრეალი) | 1948 | ბადი ოკონორი (რეინჯერსი) | 1969 | ფილ ესპოზიტო (ბოსტონი) | 1990 | მარკ მესიე (ედმონტონი) |
| 1928 | ჰოუი მორენცი (მონრეალი) | 1949 | სიდ ეიბელი (დეტროიტი) | 1970 | ბობი ორი (ბოსტონი) | 1991 | ბრეტ ჰალი (სენტ ლუისი) |
| 1929 | როი უორტერსი (ნიუ იორკ ამერიკანსი) | 1950 | ჩარლი რეინერი (რეინჯერსი) | 1971 | ბობი ორი (ბოსტონი) | 1992 | მარკ მესიე (რეინჯერსი) |
| 1930 | ნილს სტიუარტი (მონრეალ მარუნზი) | 1951 | მილტ შმიდტი (ბოსტონი) | 1972 | ბობი ორი (ბოსტონი) | 1993 | მარიო ლემიე (პიტსბურგი) |
| 1931 | ჰოუი მორენცი (მონრეალი) | 1952 | გორდი ჰოუ (დეტროიტი) | 1973 | ბობი კლარკი (ფილადენფია) | 1994 | სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი) |
| 1932 | ჰოუი მორენცი (მონრეალი) | 1953 | გორდი ჰოუ (დეტროიტი) | 1974 | ფი ესპოზიტო (ბოსტონი) | 1995 | ერიკ ლინდროსი (ფილადელფია) |
| 1933 | ედი შორი (ბოსტონი) | 1954 | ელ როლინსი (ჩიკაგო) | 1975 | ბობი კლარკი (ფილადენფია) | 1996 | მარიო ლემიე (პიტსბურგი) |
| 1934 | აირელ ჟოლიე (მონრეალი) | 1955 | ტედ კენედი (ტორონტო) | 1976 | ბობი კლარკი (ფილადენფია) | 1997 | დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) |
| 1935 | ედი შორი (ბოსტონი) | 1956 | ჟან ბელივო (მონრეალი) | 1977 | გი ლეფლერი (მონრეალი) | 1998 | დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო) |
| 1936 | ედი შორი (ბოსტონი) | 1957 | გორდი ჰოუ (დეტროიტი) | 1978 | გი ლეფლერი (მონრეალი) | 1999 | იარომირ იაგრი (პიტსბურგი) |
| 1937 | ბეიბ ზიბერტი (მონრეალი) | 1958 | გორდი ჰოუ (დეტროიტი) | 1979 | ბრაიან ტროტიე (აილენდერსი) | 2000 | კრის პრონგერი (სენტ ლუისი) |
| 1938 | ედი შორი (ბოსტონი) | 1959 | ენდი ბეტგეიტი (რეინჯერსი) | 1980 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2001 | ჯო საკიკი (კოლორადო) |
| 1939 | ტო ბლეიკი (მონრეალი) | 1960 | გორდი ჰოუ (დეტროიტი) | 1981 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2002 | ჟოზე ტეოდორი (მონრეალი) |
| 1940 | ედი გუდფელოუ (დეტროიტი) | 1961 | ბერნი გეოფრიონი (მონრეალი) | 1982 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2003 | პეტერ ფორსბერგი (კოლორადო) |
| 1941 | ბილ კოული (ბოსტონი) | 1962 | ჟაკ პლანტი (მონრეალი) | 1983 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2004 | მარტინ სენ ლუი (ტამპა) |
| 1942 | ტომ ანდერსონი (ბრუკლინ ამერიკანსი) | 1963 | გორდი ჰოუ (დეტროიტი) | 1984 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2005 | სეზონი არ ჩატარებულა |
| 1943 | ბილ კოული (ბოსტონი) | 1964 | ჟან ბელივო (მონრეალი) | 1985 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2006 | ჯო ტორნტონი (სან ხოსე) |
| 1944 | ბეიბ პრატი (ტორონტო) | 1965 | ბობი ჰალი (ჩიკაგო) | 1986 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) | 2007 | სიდნი კროსბი (პიტსბურგი) |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge